ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **საქართველოს ისტორია**

სართანია მიხეილი

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დიმიტრი შველიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in **History of Georgia**

Sartania mikheil

Social-revolutioners in the georgian democratic republic

Thesis is prepared for obtaining

MA Degree in History

Research Supervisor: Dimitri Shvelidze
PhD in History. TSU Asicciete Professor

Tbilisi
2019

ანოტაცია

წინამდებარე საკვლევი თემა შეეხება საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას და მის მოღვაწეობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ნაშრომი ითვალისწინებს ძირითადად პრესის ფურცლებზე აღმოჩენილი ინფორმაციის კვლევას, ისტორიულ-შედარებით ანალიზს და ზოგადად აღნიშნული პარტიის პოლიტიკის განსაზღვრას. ჩვენი უმთავრესი მიზანია საზოგადოების წინაშე მკაფიოდ წარმოვადგინოთ ესერთა პარტიის არსი და მათი როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამავდროულად, ჩვენ კვლევის ფარგლებში მიზნად ვისახავთ აღმოვაჩინოთ ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე უცნობი წყაროები სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შესახებ. ნაშრომის გარშემო ჩვენ ვეხებით შემდეგ საკითხებს: პარტიის სტრუქტურა, ქართველი ესერების კანონშემოქმედებითი და აგრარული საქმიანობა, დამოკიდებულება ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან. ცალკე გვაქვს გამოყოფილი ამ უკანასკნელთა ურთიერთდამოკიდებულება სომხურ „დაშნაკცუთიუნთან“, ვინაიდან ამ პარტიასთან დამოკიდებულება წარმოებს საქართველო-სომხეთის ომის კონტექსტში. ცხადია, წარმოდგენილი გვაქვს ცალკეული ესერი ლიდერების ბიოგრაფიებიც.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესაბამისად, ვფიქრობთ, ორმაგად საინტერესოა მისი საზოგადოებისთვის გაცნობა. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური პარტიები ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში იყვნენ. დიდი ხანია პოლიტიკა საქართველოში პოპულარულია და ქართული საზოგადოებაც დიდ ინტერესს იჩენს პოლიტიკისადმი. ამიტომაც საინტერესო უნდა იყოს XX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული პარტიის - სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის უფრო ფართოდ გაცნობა.

Annotation

Our research topic is about the Socialist-Revolutionary Party of Georgia and its activities in the Democratic Republic of Georgia. The topic mainly focuses on research of information found on press pages, historical-comparative analysis and on definition of this party's politics. Our main goal is to represent main meaning of `Eserta`? party to society and their role in political life of Georgia.

In addition, within the research we aim to discover for Georgian historiography until now unknown sources about the Socialist Revolutionary Party.

We are discussing following issues around the theme: structure of party, lawmaking and agrarian activity of Georgian Esers, attitude towards other Georgian political parties. We have separate discussion about abovementioned party`s attitude with Armenian `Dashkacuthiun`, because this party`s relationship is in context in Georgia-Armenia war.

Also we have presented biographies of certain Eser leaders.

The issues mentioned above are less studied in Georgian historiography, therefore we assume that it is particularly interesting to inform society about these topics. The issue is relevant as far as the political parties are always in the midst of public life. Politics has been popular in Georgia for a long time and Georgian society is politicized. That is why it should be interesting to get to know one of the most prominent party of the first half of the XX century, the Socialist-Revolutionary Party.

შინაარსი

შესავალი.....6

თავი პირველი. ესერთა პარტიის წარმოქმნა.....11

§1.1. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.....11

§1.2. ესერები და 1905 წლის რევოლუცია.....13

§1.3. ნეოხალხოსნური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ესერთა პირველი ჯგუფები საქართველოში.....14

თავი მეორე. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.....24

თავი მესამე. ესერები და აგრარული საკითხი.....43

თავი მეოთხე. ესერები და კონსტიტუცია.....53

თავი მეხუთე. ესერები და ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი.....63

თავი მეექვსე. ესერები და სომეხი დაშნაკები.....70

თავი მეშვიდე. გამოჩენილი ესერები.....75

დასკვნა. 88

გამოყენებული ლიტერატურის სია. 91

შესავალი

პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება იწყება ანტიკური დროიდან. მართალია, ისინი დღევანდელი პოლიტიკური პარტიებისგან დიდად განსხვავდებოდნენ, მაგრამ სწორედ იმ დროიდან ეყრება საფუძველი თანამედროვე ეპოქაში შექმნილ პოლიტიკურ პარტიებს. რაც შეეხება პირველ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, ისინი შეიქმნა ძველ საბერძნეთსა და რომში. [1]ძველ რომში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ორ ძირითად პოლიტიკურ დაჯგუფებას - ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის. პირველნი წარმოადგენდნენ რომაული არისტოკრატიისა და სენატის პარტიას, მეორენი კი - სოფლის პლებსის და დემოკრატიული ფენების ნდობით სარგებლობდნენ. ძველ ათენშიც არსებობდა რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება, რომლებიც ძირითადად ერთი პოლიტიკური ლიდერის გარშემო იყვნენ გაერთიანებული და შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჯგუფები ყოველგვარი იდეოლოგიისგან იყვნენ დაცლილი.

შუა საუკუნეების ევროპაში კი იმ ადგილებში, სადაც ამისთვის ნიადაგი შემზადებული იყო, წარმოიქმნებოდა პოლიტიკური დაჯგუფებები. ასეთია, მაგალითად XII-XV საუკუნების იტალიაში გველფები და გიბელინები. აგრეთვე ჩვენ შეგვიძლია გარკვეულ პოლიტიკურ დაჯგუფებად ჩავთვალოთ თამარ მეფის ეპოქაში ყუთლუ არსლანის დასიც, რომლის ცნობილი გამოსვლის შემდეგ როგორც ცნობილია, იყო „კარვის“ შექმნის იდეაც, რომელიც მარცხით დასრულდა. პარტიები, დღევანდელი სახით, მხოლოდ ახალ დროში გაჩნდა. მათ პროტოტიპებად ვიგები და ტორები შეიძლება მივიჩნიოთ XVII-XVIII საუკუნეების ინგლისის პარლამენტში; ისინი სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის საკითხის მიმართ სხვადასხვა შეხედულების მქონე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. საკუთრივ, პარტიები ამ სიტყვის ვიწრო განმარტებას თუ გამოვიყენებთ, მხოლოდ საკონსტიტუციო მთავრობისა და ჭეშმარიტი არჩევნების შემოღების შემდეგ გაჩნდა. ამგვარად, პარტიების განვითარება არჩევნებთან,

[1] დიმიტრი შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები. თბ. 1993წ. გვ3

კერძოდ კი, მოსახლეობის ფართო ფენების მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვებასთან არის დაკავშირებული. იმ პერიოდში, როდესაც თანამედროვე პარტიების წინამორბედები (ვიგები და ტორები ინგლისში) გაჩნდნენ, ხმის უფლება მხოლოდ ადგილობრივ წარჩინებულთა ვიწრო წრის პრივილეგია იყო. მომავალ დეპუტატს დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. პარლამენტში იგი პირადი ან მისი ოჯახის რეპუტაციის წყალობით ხვდებოდა. უკვე პარლამენტში ეს დეპუტატები საერთო ინტერესებისა ან/და პირადი ურთიერთობების გარშემო ფრაქციებს ქმნიდნენ. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური პარტიები ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, წარმოიშვნენ ევროპაში.(ვიგები და ტორები უფრო პროტოპარტიულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, განსხვავებულს თანამედროვე პოლიტიკური პარტიის ცნებისგან..) [2]1840 წლის 20 ივლისს, ინგლისის ქალაქ მანჩესტერში შეიქმნა პირველი მასობრივი მუშათა პარტია - „ჩარტისტების ეროვნული ასოციაცია“. ამ პერიოდიდან პოლიტიკური პარტიების საქმიანობა მსოფლიოს საზოგადოებრივ- პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა.

პარტიების წარმოშობას საქართველოში წინ უსწრებდა განათლებულ საზოგადოებაში (უმაღლესი განათლების მქონე აზნაურები, მასწავლებლები და წვრილი მოხელეები) არსებული სხვადასხვა იდეური მიმართულების ჯგუფების არსებობა. გარკვეულწილად, პარტიების წარმოშობა სწორედ ამ ჯგუფებს უკავშირდება.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთი პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა გამოვიდა:ესერები, ანარქისტები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები .....XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანაც ყალიბდება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც ჯერ პარტიის სახე არ ჰქონდათ, მაგრამ მათი შეხედულებებიდან კონკრეტული პოლიტიკური გზავნილებიც მომდინარეობდა. მაგალითად, ხალხოსნები, შემდგომში ნეოხალხოსნები, „მესამე დასი“ და ა.შ. პარტიების წარმოშობა და განვითარება საქართველოში დასავლური პარტიებისგან

[2] დიმიტრი შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები. თბ. 1993წ. გვ.3

მნიშვნელოვნად განსხვავებული გზით მიდიოდა. საქართველოში პარტიების განვითარების თავისებურებები, ძირითადად, ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ეს ფაქტორიებია: ერთი მხრივ, მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს კოლონიური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, 1917 წლამდე არჩევითი წარმომადგენლობით ინსტიტუტების არარსებობა. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პარტიების საქმიანობის შეჩერებამდე საქართველოში პოლიტიკური პარტიების არსებობის ორი ეტაპის გამოყოფა არის შესაძლებელი. პირველი ეტაპი მოიცავს მეოცე საუკუნის პირველ წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე პარტიათა გამოჩენას და საქმიანობას რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, ხოლო მეორე ეტაპი კი 1917 წლიდან 1924 წლამდე.

XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. სწორედ ამ პერიოდში წარმოქმნილი ორგანიზაციებიდან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პარტიას წარმოადგენს საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც სხვა ქართულ პარტიებს შორის ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილია. აგრეთვე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველ ესერთა პარტიის მოღვაწეობა და საქმიანობა ნაკლებადაა დაფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში და ძირითადად მეორე ეშელონის პარტიადაა წარმოდგენილი , რაც შეიძლება წყაროების სიმწირიდანაც გამომდინარეობდეს. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ერთ-ერთი წამყვანი ძალაა XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.(რათქმაუნდა, უნდა ვაღიაროთ სოც. დეკების, ფედერალისტების და ეროვნულ დემოკრატების შემდეგ.) ამ უკანასკნელთა ქმედებებმა არაერთი პოლიტიკური ვითარება წარმართეს და მიიყვანეს ლოგიკურ დასარულამდე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანებული მომავალი დამოუკიდებელი ქართველი ესერები კოტე მესხის მეთაურობით, გარკვეულწილად აღნიშნული პარტიის ერთ-ერთი მედროშენი იყვნენ. უბრალოდ, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები საქართველოში აღმოჩნდნენ სოციალური ბაზისის გარეშე, ვინაიდან რუსი ესერებისგან განსხვავებით მათ

გადაწყვიტეს ეროვნულ პლატფორმაზე გადმოსვლა, აღნიშნული ნიშა კი უკვე საქართველოში ჰქონდათ დაკავებული უფრო ძველ პარტიებს - ფედერალისტებს და ეროვნულ-დემოკრატებს. მუშებისა და გლეხების ძირითადი ნაწილის მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატებმა წაართვეს. ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტია 1918 წლის ივნისში შეიქმნა, მანამდე ის წარმოადგენდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის ფილიალს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ესერული მოძრაობა, მითუმეტეს მათი საქმიანობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნაკლებადაა შესწავლილი. ალბათ, ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ სხვა წამყვან პარტიებთან შედარებით, გარკვეულწილად მეორე პლანზე აღმოჩნდა მისი შესწავლის საკითხი. თუმცა არის რამდენიმე ნაშრომი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის საუკუნის დასაწყისის ესერული მოძრაობის შესახებ საქართველოში. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია რევაზ გრძელიძის „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924)“(1998წ.). ამ უკანასკნელს განხილული აქვს ამ პერიოდში არსებული საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, რომელთა შორის არის გარკვეული მონაცემები ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა შესახებ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნაშრომში აქცენტი სხვა პოლიტიკურ პარტიებზე კეთდებოდა და ესერთა შესახებ მეტად მშრალი მონაცემებია წარმოდგენილი. ესერების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია წარმოდგენილი დიმიტრი შველიძის ნაშრომში „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები“.(1993წ.). პროფესორ შველიძეს განხილული აქვს XX საუკუნის დასაწყისში არსებული მდგომარეობა ქართველი ესერებისა, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტია. ამ დროს მიმდინარეობდა ამ უკანასკნელთა ჩამოყალიბების პროცესი, ცალკეული ხალხოსნური და ნეოხალხოსნური ჯგუფებისა და წრეების ურთიერთდამოკიდებულებაა ნაჩვენები. ესერთა წინამორბედი ნეოხალხოსნური ჯგუფის შესახებ აქვს ნაშრომი ვლადიმერ ხვედელიძეს, რომლის სახელწოდებაცაა „ნეონაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში“. აღნიშნულ ნაშრომში ვლ. ხვედელიძე მიმოიხილავს იმ

სოციალურ ჯგუფებს, რომელთა მემკვიდრესაც წარმოადგენს შემდგომში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და აკეთებს დასკვნასაც, რომ საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფები უკვე 1901 წლიდან არსებობდა, რაც მისი აზრით ცნობილი ესერის, გრიგორი გერშუნის ჩამოსვლასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ესერული ორგანიზაციების გაერთიანებას. გარკვეულ ცნობებს ვხვდებით ქართველ ესერთა შესახებ საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესახებ გამოცემულ წიგნში, სადაც ორი თავი ეთმობა გივი კვაჭანტირაძის ნაშრომს „სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში 1905-08 წლებში“ და „სოციალისტ-რევოლუციონერთა ტერორისტული საქმიანობა საქართველოში 1905-10 წლებში“. ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომების უმრავლესობა ორიენტირებული იყო ძირითადად იმ პერიოდებზე, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართველ ესერთა დამოუკიდებელი პარტია. რაც შეეხება 1918-21წწ-ში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, აქ ჩვენ ძირითადად ვიხელმძღვანელეთ პერიოდული გამოცემებით და საარქივო მასალებით. ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები მოვიძიეთ შემდეგი გაზეთებიდან: „შრომა“, „რევოლუციური ნობათი“, მარცვალი“, „კომუნისტი“, „ტყიბული“, „სახალხო განათლება“ და ა.შ. მნიშვნელოვანი ცნობების მოძიებაში დიდი ადგილი ეჭირა ჟურნალებს. მაგალითად, „თეატრი და ცხოვრება“, „ათინათი“, „მაცნე“ და ა. შ. რაც შეეხება საარქივო მასალას, საისტორიო ფონდში აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელთაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ამრიგად, ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში(არ უნდა დავაკნინოთ უკვე არსებული მასალები, რომლებიც საკმაოდ ფასდაუდებელია, ვინაიდან იგი მომავალ მკვლევრებს გარკვეულ ბაზისს უქმნის საკითხის შემდგომი განვითარებისთვი.) მეტად მწირი მასალა აღმოჩნდა. თუმცა შესაძლებელია პრესისა და საარქივო ცნობების შესწავლის შემდეგ გარკვეული შეხედულებისა და წარმოდგენის შექმნა ქართველ ესერთა პარტიაზე.

თავი პირველი

ესერთა პარტიის წარმოქმნა

§1.1.რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერები

როგორც ცნობილია, სოციალისტ-რევოლუციონერები - რევოლუციამდელი რუსეთის უდიდესი მემარცხენე პარტია, დაარსდა 1902 წელს. მისი წევრები შემოკლებით იწოდებოდნენ ესერებად, ხოლო სოციალისტ-რევოლუციური წრეები (ჯგუფები) გამოჩნდნენ რუსეთში მე-19 საუკუნის ბოლოს. ერთ-ერთი მათგანი 1894 წელს ხალხოსნური საზოგადოების საფუძველზე დაფუძნდა სარატოვში. ორი წლის შემდეგ წრემ (ჯგუფმა, რგოლმა) შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გადააგზავნეს საზღვარგარეთ და გამოსცეს ფურცლების (ლისტოვკა) სახით. 1896 წელს წრის ლიდერი ანდრეი არგუნოვი გახდა, რომელმაც წრე კავშირად გადააქცია და შექმნა გაერთიანება „სოციალისტ-რევოლუციონერების კავშირი“ ცენტრი კი მოსკოვში გადაიტანა. ამავე დროს,ცენტრალურმა კავშირმა მოაგვარა ურთიერთობა პეტერბურგის, ოდესის, ხარკოვის, პოლტავის, ვორონეჟის და პენზის არალეგალურ რევოლუციურ წრეებთან.

1900 წელს კავშირში გაჩნდა საბეჭდი ორგანო - არალეგალური გაზეთი „რევოლუციური რუსეთი“, რომელმაც 1902 წლის იანვრის თვეში კავშირის საფუძველზე „სოაციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის“ შექმნა გამოაცხადა. რაც შეეხება, ესერთა პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა ფინეთში.(1905წ. 29 დეკემბერი - 1906წ. 4 იანვარი.) მათ მიერ, ამ პერიოდში მიღებულ პარტიის პროგრამას შეიძლება ითქვას, რომ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი მოითხოვდნენ: ბოუროკრატიულ-თვითმპყრობელური სახელმწიფო წყობილების რევოლუციური გზით დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას ოლქებისა და თემებისთვის ავტონომიის მინიჭებით, ყველა ეროვნების უფლებების გათანაბრებას, პოლიტიკურ თავისუფლებას,

მუშათა კანონმდებლობის გაფართოებას. პროგრამის ძირითადი ნაწილი იყო მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა. უნდა მომხდარიყო რევოლუციური გზით მიწაზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და მემამულეთათვის ჩამორთმეული მიწების სოფლის თემებისთვის გადაცემა, რითაც წყდებოდა არამარტო გლეხთა საკითხი, არამედ ეს უკანასკნელი მუშათა კლასის ინტერესებსაც გამოხატავდა.

რაც შეეხება, ესერთა პარტიის პროგრამას, იგი 1904 წელს გამოჩენილმა პარტიულმა მოღვაწემ ვიქტორ ჩერნოვმა შეადგინა. სოციალისტ-რევოლუციონერების მთავარი მიზანი იყო რუსეთში დემოკრატიული მმართველობის ფორმის დამყარება და უმთავრესი პოლიტიკური უფლებების გავრცელება მოსახლეობის ყველა ფენაზე.

თავიანთი მიზნების განხორციელება ესერებმა გადაწყვიტეს ისეთი რადიკალური ხერხებით, როგორიცაა, იატაკქვეშა ბრძოლა, ტერაქტები და მოსახლეობაში აქტიური აგიტაცია. უკვე 1902 წელს კი უზარმაზარი იმპერიის მოსახლეობამ შეიტყო ახალი პარტიის საბრძოლო ორგანიაზაციის შესახებ!

საგულისხმოა, რომ 1902 წლის გაზაფხულზე ბოევიკმა სტეპან ბალმაშევმა დაცხრილა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი დიმიტრი სიპიაგინი. ცნობილია, რომ მკვლელობის ორგანიზატორი გრიგორი გერშუნი იყო. შემდგომ წლებში, ესერების ორგანიზებით განხორციელდა მრავალი ტერაქტი, თუმცა ყველაზე გახმაურებული ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის პლეევეს და ნიკოლოზ მეორის ბიძის, დიდი მთავრის სერგეი ალექსანდროვიჩის მკვლელობები გახლდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესერების პარტიასთანაა დაკავშირებული ლეგენდარული პროვოკატორისა და ორმაგი აგენტის ევნო აზეფის სახელი. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პარტიის საბრძოლო ორგანიზაციას და ამავდროულად იყო „ოხრანკის“ (რუსეთის იმპერიის სამძებრო უწყების) თანამშრომელი. როგორც საბრძოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ორგანიზება გაუკეთა მძლავრ ტერაქტებს,

ხოლო როგორც მეფის სპეცსამსახურის აგენტმა, ხელი შეუწყო ბევრი თანაპარტიელის დაკავებასა და განადგურებას. 1908 წელს აზეფი გაშიფრეს. ესერთა ცენტრალურმა კომიტეტმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მოხერხებულმა პროვოკატორმა მოახერხა ბერლინში გაქცევა, სადაც 10 წელი იცხოვრა.

§1.2.ესერები და 1905 წლის რევოლუცია

საზოგადოდ, ცნობილია, რომ პირველი რუსული რევოლუციის დასაწყისშივე ესერებმა შეიმუშავეს რამდენიმე თეზისი. მათ ააღორძინეს ძველი ლოზუნგი „მიწა და თავისუფლება“ (Земля и воля), აღნიშნული ლოზუნგის ქვეშ გლეხებს შორის მიწის სამართლიან გადანაწილებას გულისხმობდნენ. ასევე ესერებს სურდათ დამფუძნებელი კრების - წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევა, რომელიც გადაწყვეტდა რუსეთის პოსტრევოლუციური ფედერალიზაციის და სახელმწიფო წყობის საკითხებს.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ 1917 წელს მემარცხენე პარტიებმა ჩაატარეს საბჭოების პირველი საყოველთაო ყრილობა, შეიქმნა საყოველთაო რუსული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ფაქტობრივად დუბლირებდა დროებითი მთავრობის ფუნქციებს. თავიდან საბჭოებში დომინირებდნენ მენშევიკები და ესერები, მაგრამ ივნისიდან დაიწყო მისი ბოლშევიზაცია. პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, საბჭოთა მეორე ყრილობის ჩატარება მოჰყვა. ესერების უმრავლეოსობამ ყრილობა დატოვა იმ მიზეზით, რომ ბოლშევიკურ გადატრიალებას დანაშაულად თვლიდნენ, მაგრამ ამავე დროს პარტიის ზოგიერთი წევრი შევიდა სახალხო კომისრების საბჭოს პირველ შემადგენლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ესერებმა გამოაცხადეს თავიანთ ძირითად მიზნად, ბოლშევიკური პარტიის დამხობა, ისინი 1921 წლამდე მაინც ლეგალურად რჩებოდნენ. ერთი

წლის შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომელთაც ვერ მოასწრეს ემიგრაციაში წასვლა, რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ.

პარტიის შექმნის საწყის ეტაპზე სათავეში იდგნენ: მ.ა. ნატანსონი, ე.კ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, ნ.ს. რუსანოვი, ვ.მ. ჩერნოვი, მ.რ. გოცი, გ.ა. გერშუნი.

1917-18 წლებში თბილისში გამოდიოდა რუსულენოვანი ესერული გაზეთი „Знамя Труда“, რომელიც მოვლენებს საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა და ქართველი ხალხის მიმართებას დიდი რუსული რევოლუციისადმი ნეგატიურად განიხილავდა და მიიჩნევდა, რომ[3] „Великая русская революція не произвела никакого переворота въ Сознаніи грузинскаго народа Еще съ 1905 года грузинская демократія жила мыслю о новой революйіи.“(დიდმა რუსულმა რევოლუციამ არ მოახდინა არანაირი გადატრიალება ქართველი ხალხის შეგნებაში. 1905 წლიდა ქართული დემოკრატია ცხოვრობდა აზრით ახალ რევოლუციაზე.)

§1.3.ნეოხალხოსნური მოძრაობა საქართველოში XIXს.-ის მიწურულსა და XXს.-ის დასაწყისში. ესერთა პირველი ჯგუფები საქართველოში.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია გარკვეულწილად, ხალხოსნური და ნეოხალხოსნური მოძრაობის იდეურ მემკვიდრეს წარმოადგენდა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ამ მოძრაობებსაც, რამეთუ ეს დაგვეხმარება სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის არსის უფრო სიღრმისეულად აღქმაში. პირველ რიგში საგულისხმოა, რომ ხალხოსნები ძირითადად გლეხთა ინტერესების გამომხატველნი იყვნენ და ქადაგებდნენ გლეხურ სოციალიზმს, რევოლუციის საჭიროებას, რომლის მამოძრავებელი ძალაც ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ. ქართველ ხალხოსნებს

[3] Грузинская жизнь. - გაზ. „Знамя Труда“, 1918, N – 50, გვ.3

იდეოლოგიურად არაფერი შეუქმნიათ, მათი მსოფლმხედველობა რუსული „ნაროდნიკობის“ იდეალებით იკვებებოდა. [4]ხალხოსნებისგან განსხვავებით, ნეოხალხოსნები პროლეტარიატს მშრომელ ინტელიგენციასთან ერთად, რევოლუციის წამყვან ძალად მიიჩნევდა, ხოლო ზოგიერთი ნეოხალხოსანი პროლეტარიატის ჰეგემონობასაც კი აღიარებდა. ერთ-ერთი პირველი ნეოხალხოსნური წრე საქართველოში 1887 წელს მუშებმა, ნ. ერმოლაევმა და ფ. გუზენკომ შექმნეს. აღნიშნულმა წრემ 1888 წლამდე იარსება. 1890-იანი წლებიდან ხალხოსნური და ნეოხალხოსნური წრეები იქმნება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, ქ. თბილისის გამგეობაში და ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმში, სურამში. სწორედ ამავე წლებში ჩამოაყალიბა ნეოხალხოსნური წრე კიევიდან ჩამოსულმა ე. ლავრუსევიჩ-ბაბუშკინამ. რევოლუციური მუშაობა მიმდინარეობდა ინტელიგენციასა და მუშებს შორის. წრის საქმიანობა მდგომარეობდა ზეპირ აგიტაციაში და წევრთა თვითგანათლებაში. ამ დროისთვის შეინიშნება ნეოხალხოსანთა გამოცოცხლება გორშიც. როგორც ჩანს, გორის ნეოხალხოსანთა წრის წევრები დაკავშირებულნი იყვნენ გ. ჩერნიავსკაია-ბახანოვსკაიასთან.(ცნობილი ხალხოსანი.) 1895 წლის მაისში ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატორი, ყოფილი ხალხოსანი ი. სვედენცოვი ჩამოვიდა თბილისში, რომელიც გ. ლასხიშვილთან(მომავალში სოციალისტ-ფედერალისტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი.) ერთად ხდება „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი წამყვანი მიმომხილველი. სვედენცოვის გარშემო თავი მოიყარეს ძირითადად რუსეთის ორიენტაციის რევოლუციონერებმა. 1898 წლიდან კი მოხდა იდეური განხეთქილება რუსეთის ორიენტაციისა (ი. სვედენცოვი) და ეროვნული ორიენტაციის(გ. ლასხიშვილი) ნეოხალხოსნებს შორის. [5]იდეურ-საორგანიზაციო განხეთქილების მიზეზი გახდა კერძო საკითხი ბაქოს ნავთის გატანაზე სარკინიგზო ტარიფის გაზრდის შესახებ. ეროვნული მიმართულების ქართველი

---

[4] ვლადიმერ ხვედელიძე. ნეონაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში - ჟურნალი „მაცნე“, 1988, N – 3, გვ. 101

[5] დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები. თბ. 1993. გვ. 209

ნეოხალხოსნები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებდნენ თავიანთ რუს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. აგრეთვე საყურადღებოა 1899 წელს საქართველოში სარატოვიდან გადმოსახლებული ს. ბარიკოვის ჩამოსვლა, რომელსაც მოჰქონდა სარეკომენდაციო ბარათები ნ. ჩერნოვასგან(ვ. ჩერნოვის და) ი. სვედენცოვთან და ი. ჯაბადართან(ცნობილი ქართველი ხალხოსანი) წარსადგენად. აღნიშნული ბარათებიდან ირკვევა, რომ თბილისის ნეოხალხოსნურ წრეს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია „სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის ჩრდილოეთის კავშირთან“ და ამავე ორგანიზაციის „სამხრეთის პარტიასთან“. მკვლევარი ვლ. ხვედელიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერთა პირველი ორგანიზაცია შეიქმნა 1901 წელს თბილისში, რაც დაკავშირებულია საქართველოში გამოჩენილი ესერის გრიგორი გერშუნის ჩამოსვლასთან. ამ უკანასკნელის მიზანს წარმოადგენდა გაეერთიანებინა საქართველოში არსებული სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფები და კავშირები, რათა ისინი შემდგომ მიმხრობოდნენ მომავალ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, რომელიც 1902 წელს შეიქმნა. როგორც ჩანს, გ. გერშუნმა აღნიშნულ ამოცანას თავი კარგად გაართვა, ვინაიდან ჩვენ ამ პერიოდში ვხედავთ უკვე სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირებს ორგანიზაციის სახით, რომელშიც ძირითადად რუსები იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, ა. კალიუჟნი, ა. ლომაკინი, მ. ყიფიანი, ე. ნიკოლსკაია და ა.შ. 1902 წლიდან უკვე ინტენსიური ხასიათი მიიღო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩამოსვლამ საქართველოში. ამ პერიოდში საქართველოს ეწვივნენ მ. ნატანსონი, ა. გედეონოვსკი, ნ. კულიაბკო-კორეცკი(რუსული ხალხოსნური მოძრაობის პატრიარქი) და ა.შ. მათი ჩამოსვლის მიზანი ესერული მოძრაობის აზვირთება და მისი რუსულ მიმართულებასთან კავშირის განმტკიცება გახლდათ. 1904 წელს თბილისში ასევე ჩამოვიდა მინსკელი ესერი იოსიპ მინორი, რომელმაც მოინახულა ძველი და ახალგაზრდა ნეოხალხოსნები(კერესენინი, კალიუჟნი, ბეკი, მაიკოვი და სხვ.). გ. ლასხიშვილის დასკვნით, თბილისში ამ დროიდან იწყება სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციების ფუნქციონირება(როგორც ჩანს მინორის ვიზიტის შემდეგ დაასკვნა მან აღნიშნული მოსაზრება.). ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ლასხიშვილმა ჩაუყარა საფუძველი იმ

საკითხს, რომ თითქოს ესერთა პარტიის ადგილობრივი ჯგუფების საქმიანობა საქართველოში 1904 წელს იწყება. აღნიშნული აზრის მცდარობაში გვარწმუნებს მკვლევარი ვლ. ხვედელიძე, რომელმაც გვიჩვენა, რომ უკვე 1901 წლიდან საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერებს ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურა. ამრიგად, [6]1904 წელს ო. მინორის ჩამოსვლა თბილისში არ იყო დაკავშირებული საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის შექმნასთან, რადგან ეს ჯგუფი ორგანიზაციულად უკვე 1901 წელს ჩამოყალიბდა. აღნიშნული დასტურდება ქ. თბილისის ჟანდარმერიის სამძებრო განყოფილების მონაცემებით, რომლიდანაც ვიგებთ, რომ 1903 წლის დასაწყისისთვის თბილისში არსებობდა ესერთა ჯგუფი, 1904 წელს კი ბათუმში შეიქმნა უკვე კომიტეტი. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც გვარწმუნებს რომ საქართველოში ესერთა ორგანიზაციები [7]1905 წლამდე არ არსებობდა, რასაც საქართველოს საისტორიო არქივში შემონახული მასალების საფუძველზე ადასტურებენ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, 1905 წლამდე ესერთა საქმიანობა ცალკეული ადამიანების არაორგანიზებული მოღვაწეობით ამოიწურებოდა, რაც გამოიხატებოდა პროკლამაციების გამოცემით , კერძოდ გოლიცინზე თავდასხმისა და პლეევეს მკვლელობასთან დაკავშირებით და სხვა „უმნიშვნელო“ ქმედებებში.

გადმოსახლებულ რუს ესერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიურები იყვნენ თბილისის თვითმმართველობაში მომუშავე ევგენი როსტოვსკი და მასთან მცხოვრები ანა ნიკოლსკაია.უფრო მეტიც ე. როსტოვსკი მონაწილეობას იღებდა თბილისში სოციალ-დემოკრატიულ შეკრებებში, როგორც ესერთა ჯგუფის წარმომადგენელი, თუმცა დაახლოებით 1905 წლისთვის აღნიშნულმა პირებმა დატოვეს საქართველო.

საქართველოში ესერთა ორგანიზაციული სისუსტე რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. პირველი რიგში ქართული სოციალ-დემოკრატიის სიძლიერით, ვინაიდან

---

[6] ვლადიმერ ხვედელიძე. ნეონაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში - ჟურნალი „მაცნე“, 1988, N - 3 გვ. 107

[7] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, კავკასიის პოლიციის უფროსის კანცელარია, ფ.83ან. 1, ს. 37. გვ.11

ამ უკანასკნელებს გავლენა ჰქონდათ როგორც ქართველ ისე არაქართველ პროლეტარიატში და ზოგადად მოსახლეობის უმრავლეს ნაწილში. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ქართველმა ნეოხალხოსნებმა და შემდგომში ესერებმა ეროვნული ორიენტაციის მხარე დაიჭირეს. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელნი ჯერ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფში იყვნენ, შემდგომ კი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდნენ. ასე, რომ შემდგომ დამოუკიდებელი ესერთა პარტია სოციალური ბაზისის გარეშე დარჩა.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ 1905 წლისთვის უკვე საქართველოში ერთდროულად ფუნქციონირებდა ესერთა პარტიის თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ადგილობრივი კომიტეტები. 1905 წლის თებერვალში ეს უკანასკნელნი ესერთა პარტიის ბაქოს კომიტეტთან გაერთიანდნენ და შექმნეს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის კავშირი. შემდგომ ორგანიზაციები შეიქმნა ქალაქებში: ფოთი, სოხუმი, ზუგდიდი, თელავსა და ჭიათურაში. ესერთა პარტიის თბილისის კომიტეტს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბაქოს კომიტეტთან. აღნიშნულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლი პეტერბურგის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ილია ქარცივაძემ (მეტსახელად „ილიკო“) შეასრულა. [8]ესერები ეწეოდნენ როგორც ვერბალურ, ასევე ბეჭდვით პროპაგანდასაც. თბილისის კომიტეტი რუსულ ენაზე გამოსცემდა გაზეთს „ოგნი“, რომელშიც იბეჭდებოდა თეორიული ხასიათის პუბლიკაციები პოლიტიკური სწავლების სფეროდან, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან და სხვა. 1905 წლის იანვარში საქართველოში რუსეთიდან ჩამოვიდნენ ვალერიან ვიქტოროვი და ზოია ლუნკევიჩი, ხოლო აგვისტოს ბოლოს საქართველოში ჩამოდის ესერთა პარტიის ორი ცნობილი მოღვაწე - ნიკოლოზ პაშკევიჩი და მიხეილ კაზაკოვი. აღნიშნული პირების ჩამოსვლამ ხელი შეუწყო საქართველოში ესერთა ორგანიზაციის მიერ ანტისამთავრობო საქმიანობის გამოცოცხლებას. ესერთა ორგანიზაციებს საქართველოში ჩამოყალიბებული ჰყავდათ „საბრძოლო რაზმი“, რომლებიც

[8] გივი კვაჭანტირაძე. საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის საკითხები, სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში 1905-08 წლებში. თბ. 2003წ. გვ. 7

წარმართავდნენ ტერორისტულ აქტებს. ერთ-ერთი პირველი გახმაურებული საქმე, რომელიც მათ დაგეგმეს მიმართული იყო კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის, საპოლიციო ნაწილში მეფისნაცვლის თანაშემწის, გენერალ-მაიორ შირინკინის წინააღმდეგ. ესერი რევოლუციონერები გენერალს ადანაშაულებდნენ კავკასიაში ეროვნული დაწესებულებების შემოღებისადმი წინააღმდეგობის გაწევაში. თავდასხმის ორგანიზატორები იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები: ჟენევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ვლადიმერ ხუდადოვი და ილია ქარცივაძე. ტერაქტის ხელმძღვანელობა დაევალა ესერთა პარტიის თბილისის კომიტეტის „ საბრძოლო ორგანიზაციის“ ხელმძღვანელს, სარაჯიშვილის არყის ქარხნის ყოფილ მუშას დავით ნიკოლოზის ძე ყაჭაურს. აღნიშნული ტერაქტი ვერ განხორციელდა, ვინაიდან რუსეთის ოხრანკას ტერაქტის ორგანიზატორთა შორის შეგზავნილი ჰყავდა საიდუმლო აგენტი მიხეილ პეტროვი, რომელმაც გასცა შეთქმულება. დამნაშავეები დააპატიმრეს, თუმცა მოგვიანებით ყაჭაურმა მეტეხის ციხიდან მოახერხა გაქცევა. რაც შეეხება მიხეილ პეტროვს, 1905 წლის 23 აგვისტოს ბაქოს ერთ-ერთ ქუჩაში ხანჯლით მძიმედ დაჭრეს, სამი დღის შემდგე საავადმყოფოში გარდაიცვალა. 1906 წლის 4 ივლისს ესერთა პარტიამ თავდასხმა მოაწყო თბილისის პოლიცმაისტერ მარტინოვზე, რომელიც მძიმედ დაიჭრა. თავდასხმა განხორციელდა ქართული სათავადაზნაურო სკოლის მეორე სართულის ფანჯრიდან. ამ თავდასხმის შემდეგ, ჟანდარმერია გიმნაზიაში შევარდა, დაარბიეს იქაურობა და პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტი შიო ჩიტაძე მოკლეს. როგორც ჩანს თავდამსხმელები ფედერალისტები ეგონათ, ამიტომაც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია იძულებული გახდა პროკლამაციაც კი გამოეშვა, რომელშიც ამბობდა, რომ აღნიშნული ტერორისტული აქტი ესერების ჩადენილი იყო და ფედერალისტები ამ საქმესთან არაფერ შუაში არ იყვნენ. ესერთა ორგანიზაციის ტერორისტულ საქმიანობას მხარს აქტიურად ახალგაზრდობა უბამდა. 1910 წლიდან თბილისში ფუნქციონირებდა „მოსწავლეთა ორგანიზაციის თბილისის კოლექტივი“, ხოლო ქუთაისში „მოსწავლეთა რევოლუციური კავშირი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორი მიხეილ საღარაძე. ამ უკანასკნელთა მიზანი იყო განათლების სისტემაში არსებული

რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ზღუდავდა ახალგაზრდების სწავლების პროდუქტიულობას, მათში ცოცხალი შემოქმედების ყოველგვარ გამოვლინებას ახშობდა. მიზნის მისაღწევად ისინი ხშირად ტერორისტულ აქტებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ქუთაისის გიმნაზიის ორი დირექტორის - ლეონტიევისა და გლუშაკოვის მიმართ განხორციელებული ტერორისტული ქმედებები, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული ესერთა პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ რუსეთის ესერთა პარტიის საქმიანობაში და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იყვნენ. გარდა ამისა, კოტე მესხის ჯგუფი (მომავალში საქართველოს ესერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი,) 1900-იანი წლებიდან სოცილისტ-ფედერალისტთა პარტიის შემადგენლობაშია, ამავე პერიოდიდან გამოსცემს კოტე მესხი ესერულ გაზეთს, რომლის სახელწოდებაცაა „პატარა გაზეთი“(გამოდიოდა 1906 წლის 1 იანვრიდან.). ამ გაზეთთან თანამშრომლობდა ცნობილი ხალხოსანი-ესერი შალვა ნათაძე(გარდ. 1912 წელს სტამბოლში.), რომელიც იყო რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი. ამ უკანასკნელმა გაზ. შრომის 1906 წლის N – 11-ში გამოაქვეყნა ნაციონალური პროგრამა, რომელიც წარმოადგენდა ბ-ნი ნათაძის შეხედულებას თუ როგორი მოწყობა უნდა ყოფილიყო რევოლუციის შემდეგ რუსეთში. აღნიშნული აზრი ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო , რამდენადაც, ის საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე საკუთარ შეხედულებას გვაცნობს. როგორც ჩანს, ის მცირე ერებისთვის უფრო კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მომხრეა ანუ ამ ეროვნებათა ფინანსური საჭიროებისთვის იარსებებს საერთო ბიუჯეტი, საიდანაც ყოველი ერი თავის წილს მიიღებდა. ის ფიქრობს, რომ ერთა ტერიტორიალური ავტონომია ვერ აღმოფხვრიდა ჩაგვრის პრობლემას და მოჰყავს პოლონეთის მაგალითი. დავუშვათ ამ უკანასკნელმა მოიპოვა ავტონომია თავისი სეიმით, ეს იმას არ ნიშნავს რომ აქ მცხოვრები უმცირესობები რუსები, უკრაინელები და აშ. თავისუფლდებიან ჩაგვრისგან. თავის მხრივ, შესაძლოა პოლონელებიც გახდნენ მაგალითად, ბალტიისპირეთში ჩაგვრის

ობიექტები. ასე რომ, ნათაძის აზრით ტერიატორიალური ავტონომია ვერ სპობდა ექსპლოატაციის ელემენტებს და საჭირო იყო ამ საკითხისადმი უფრო სიღრმისეული მიდგომა. შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სწორედ ასეთი იყო ქართველ ესერთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხის მიმართ.

როგორც ვიცით, ამ დროს დამოუკიდებელი ქართული ესერული მოძრაობა არ არსებობდა, ამიტომაც ქართველი ესერები აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ წამოწყებაში, რომელსაც რუსეთის ესერთა პარტია აწყობდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თებერვლის რევოლუცია (1917წ.), რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ესერებიც. თუმცა სანამ უშუალოდ ამ მოვლენას შევეხებოდეთ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ესერები პირველ რიგში იყვნენ ქვეყნის პატრიოტები და ყველა საქმეს, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ უნდა გამოეწვია საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც მათი აზრით მშრომელი ხალხის კეთილდღეობა მოჰყვებოდა. დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციის შექმნამდე მათ ბევრად ადრე დაიწყეს მათ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, 1909-11 წლებში ესერები ბაქოში(კოლიუბიაკინის ქუჩა, ერივანცოვის სტამბა.) სცემდნენ არალეგალურად გაზეთს „მარცვალი“. გაზეთი იყო ქართულენოვანი და მისი ძირითადი მიზანი იყო ხალხში ქართველ ესერთა პროპაგანდა, აღნიშნული ორგანოს რედაქტორი გახლდათ ალექსანდრე ნადირაძე, გამომცემელი კი პლატონ გელოვანი. რედკოლეგიის წევრები იყვნენ ძმები, ვლადიმერ და იოსებ გობეჩიები.(ამ უკანასკნელის ინიციატივით განხორციელდა ტერორისტული თავდასხმები ალიხანოვ-ავარსკიზე, გენერალ ველიამინოვზე, თბილისში პოლიცმაისტერ მარტინოვზე.) როგორც ჩანს, ამ პერიოდში ბაქოში ქართველთა რაოდენობა არცთუ ისე მცირე იყო და მათი რაოდენობა დაახლოებით ოთხი ათასამდე გახლდათ [9]„დღეს კი ბაქოში ოთხი ათასამდე მოიპოვება ქართველი, რომელთაც მარტო მოხელეობა და ხელზედ-

[9] ტონი. ქართველები ბაქოში - გაზ. „მარცვალი“, 1910, N – 1, გვ.7

მოსამსახურეობა ვეღარ იტევს.“ სავარაუდოთ, სწორედ ამ მასაზე ცდილობდნენ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები დაყრდნობას, რამეთუ ეს უკანასკნელნი ჩანან ამ პერიოდში ყველაზე აქტიურები ბაქოში, თან საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის უფრო ეროვნებით რუსი ესერები აქტიურობდნენ. ბაქოში მყოფი ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურესად შეჭირვებული იყო, მათ დახმარებას მეტნაკლებად იქაური ესერები ცდილობდნენ, თან დიდი ალბათობით აღნიშნული სოციალური მდგომარეობის გადაწყვეტა მათ წისქვილზეც ასხამდა წყალს. უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხეს რამდენიმე საზოგადოების დაარსებაც კი და ამ მხრივ გარკვეული „მოძრაობა“ შეინიშნებოდა. ბაქოს ქართველი ესერები ძირითადად ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ. ისინი გარკვეულ უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამენ ამ პერიოდში საქართველოში რუსი გლეხების ჩასახლების გამო და მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი ქვეყნის წინააღმდეგაა მიმართული [10]„გადმოსახლება გაამაგრებს უცხო ელემენტებს ჩვენში, სხვა ზნე-ჩვეულების და ადათის მქონებელთ. ორი სხვა და სხვაგვარი პსიხოლოგია: ადგილობრივი და უცხოელი ერთმანეთს ვერ შეეგუება, მათში მუდმივი, ფარული მაინც, ბრძოლა იქნება.“ გაზეთ „მარცვალის“ წინასწარმეტყველება შეიძლება ითქვას ერთგვარად, გამართლდა კიდეც, როდესაც [11]1918 წლის სექტემბერში(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის არსებობის პირობებში უკვე.) მოხდა გარკვეული დაპირისპირება მაშინდელ სოფელ თეთრიწყაროში, სადაც როგორც ჩანს, რუსი გლეხები იყვნენ ჩასახლებულნი. ქართველ და რუს გლეხობას შორის კონფლიქტის შედეგად საჭირო გახდა ქართველი სამხედროების ჩარევა. აღნიშნული კონფლიქტის დროს დაიღუპა სოციალისტ-რევოლუციონერი, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი გიორგი ყიფიანი. რუსი გლეხები განიდევნენ აღნიშნული ტერიტორიიდან.

[10]ნაციხარი. ქართული პრესა - გაზ. „მარცვალი“, 1910, N – 1, გვ.3

[11] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდი, ფ.2034, ან.1, N2, გვ 3

ამრიგად, XXს.-ის დასაწყისში საქართველოში არსებობდა ესერთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც არც თუ ისე პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. აღნიშნული ნათლად ჩანს თუნდაც იმ ტერორისტულ აქტებში თუ აქცია-დემონსტრაციებში, რომლებსაც ისინი აწყობდნენ.

თავი მეორე

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გაერთიანებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იყო მეოთხე წამყვანი ძალა ქვეყანაში. (სოც.-დეკების, სოც.-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების შემდგე.). პარტია დამოუკიდებელ ქართულ პოლიტიკურ სუბიექტად წარმოიქმნა 1918 წელს. მანამდე აღნიშნული პოლიტიკური მოძრაობის წევრები იყვნენ რსრპ-ის შემადგენლობაში.

საქართველოში ძირითადად აქტიურ ორგანიზაციად ესერთა ქუთაისის ორგანიზაციას მიიჩნევდნენ. სწორედ იმერეთიდან იყვნენ ესერთა დამოუკიდებელი პარტიის მომავალი ლიდერები ძმები, ვლადიმერ, იოსებ და ივანე გობეჩიები, ილია ნუცუბიძე, ივანე ბახტაძე და სხვები. ჯერ კიდევ ქუთაისში მათ დააარსეს თავიანთი პარტიული პრესის ორგანო გაზეთი „შრომა“.(უფრო სწორად 1914 წლის 3 მარტს აღადგინეს გაზეთი „შრომა“. პირველად იგი 1881-83 წლებში გამოდიოდა და წარმოადგენდა პირველ ქართულ ყოველკვირეულ გაზეთს, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. რედაქტორობდა დიმიტრი დადიანი.) გაზეთი ეროვნული განთავისუფლების პოზიციაზე იდგა. ამ გაზეთის ირგვლივ თავი მოიყარა ქუთაისის პარტიულმა ორგანომ, თუმცა ქართველი ესერები ფინანსურად საკმაოდ სუსტ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და იძულებული გახდნენ გაზეთის გამოცემა შეეწყვიტათ. რუსეთის რევოლუციის დღეებში გაზეთმა სახელი შეიცვალა და გამოდიოდა „სოციალისტ-რევოლუციონერის“სახელწოდებით (1917-1918წწ.). აღნიშნული სახელით გაზეთის სულ 102 ნომერი გამოიცა და მის გარშემო იყვნენ შემოკრებილი ლეო შენგელაია(ქართული სოციალისტ რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტის მომავალი თავმჯდომარე), ილია ნუცუბიძე, ივანე გობეჩია, მიხეილ ფაჩუაშვილი, აპოლონ კაკაბაძე და სხვები. 1918 წელს

ესერები კიდევ ერთხელ გახდნენ იძულებული, რომ პარტიული პრესისთვის გადაერქმიათ სახელი და „სოციალისტ-რევოლუციონერის“ ბაზაზე შეიქმნა გაზეთი „რევოლუციური ნობათი“, რომლის სულ 23 ნომერი გამოიცა. (აღნიშნული გაზეთის ორკვირეულ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენდა „ლიგეია“, რომელშიც იბეჭდებოდა გ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ი. გრიშაშვილის ლექსები). ამ უკანასკნელით სრულდება ესერთა პარტიული პრესის შემოქმედება ქუთაისში, რომელსაც უკვე თბილისში აგრძელებს კიდევ ერთხელ აღდგენილი გაზეთი „შრომა“, თუმცა ამას ოდნავ მოგვიანებით შევეხებით. მანამდე აუცილებლად უნდა შევეხოთ 1917-18 წლების მოვლენებს, რომელმაც განსაზღვრა კიდეც აღნიშნული ორგანიზაციის პარტიად ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია, ის ფაქტი რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად 1917 წლის თებერვლის რევოლუციას რუსეთში თვლიდნენ, რომლის გამარჯვებასაც ქართველი ესერები აღტაცებით შეხვდნენ. თბილისში, საბჭოს დარბაზში კრებაც კი ჩაატარეს, რომელიც მიეძღვნა სწორედ ზემოთ აღნიშნული რევოლუციის გამარჯვებას (კრება 1917 წლის 15 მარტს ჩატარდა). კრებამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა დროებით მთავრობას: [12]ღრმად გვწამს, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც თავისი საუკეთესო ძალები თავისუფლების საქმეს მსხვერპლად შესწირა, გამათავისუფლებელი იქნება რუსეთში მოსახლე ყველა ერის, მათ რიცხვში ქართველებისა. კერძოთ, ეჭვი არ გვაქვს, თქვენ ყოველ ღონით მხარს დაუჭერთ ქართველი ხალხის ერთსულოვან მისწრაფებას პოლიტიკური ავტონომიისადმი.“

როგორც ცნობილია, ამ დროს ამიერკავკასიაში არსებობდა „ოზაკომი“, რომელიც ფაქტობრივად დროებითი მთავრობის ფილიალი იყო აქ. მასთან ერთად ხელისუფლებას იყოფდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები, რომლებშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციური პარტიების

[12] გაზ. „საქართველო“, 12 მარტი, 1917, N - 57

წარმომადგენლებს. ამგვარი ორხელისუფლებიანობა თებერვლის რევოლუციის ყველაზე არსებითი თავისებურება იყო, როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში.

1917 წლის აპრილში ჩატარდა ორი ინტერპარტიული შეკრება მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ესერებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ შეკრებაზე განიხილეს ეროვნულ პრობლემასთან და ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები; კერძოდ, მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული საზღვრებისა და ეროვნული პარლამენტის უფლებამოსილებათა შესახებ. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატების მხრიდან: აკ.ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, გ. ფაღავა, გ. გიორგაძე, პ. საყვარელიძე; ფედერალისტებისგან: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ს. მდივანი, ს. ფირცხალავა, შ. მესხიშვილი; ეროვნულ-დემოკრატებისგან: გ. გვაზავა, დ. ვაჩნაძე, გრ. ვეშაპელი, სპ. კედია.

პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ იმაზე, რომ საქართველო დარჩენილიყო რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ შეკრების მონაწილეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ რა სტატუსით უნდა შესულიყო საქართველო რუსეთის შემადგენლობაში. ამ საკითხის განხილვის დროს თავი იჩინა იმ უთანხმოებამ, რომელიც პოლიტიკური პარტიების პროგრამებს შორის არსებობდა. ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ თუ რუსეთი ფედერაციის პრინციპის საფუძველზე მოეწყობოდა, საქართველოს მის შემადგენლობაში უნდა ჰქონოდა ავტონომიის სტატუსი საკანონმდებლო უფლებებით და საკუთარი პარლამენტით. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში უნიტარული სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა, საქართველო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენით შევიდოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

სოციალ-დემოკრატები ერთგული რჩებოდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე შემუშავებული ეროვნული პროგრამისა და მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის ავტონომიას სეიმით რუსეთის შემადგენლობაში. რაც შეეხება საქართველოს, - მას ამიერკავკასიის ავტონომიურ ერთეულში უნდა ჰქონოდა ფართო ეროვნული თვითმმართველობა.

სოციალისტ-ფედერალისტები ტრადიციულად ემხრობოდნენ რუსეთის ფედერაციული მოწყობის გეგმას და საქართველოსთვის პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ.

ამრიგად, 1917 წლის აპრილისთვის პოლიტიკური პარტიები ძირითადად შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ საქართველო უნდა შესულიყო რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამავე დროს მათ შორის დავის საგნად რჩებოდა ის, თუ რა სტატუსით შევიდოდა საქართველო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

არ უნდა უგულვებელვყოთ ისიც, რომ მიუხედავად დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაციის არარსებობისა ესერები საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, 1917 წლის ნოემბერში მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელშიც სხვა პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ესერი დეპუტატებიც შედიოდნენ. 26 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. საბჭომ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 15 წევრისა და 6 კანდიდატის შემადგენლობით. აღმასკომის წევრებად აირჩიეს :ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ა. ლომთათიძე, ჰ. აბაშიძე, ა. ფარნიაშვილი (სოციალ-დემოკრატი მენშევიკები), .ვლადიმერ გობეჩია და კოტე მესხი (სოციალისტ-რევოლუციონერები), გ. რცხილაძე და ი. გედევანიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტები), გ. გვაზავა და გ. ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატები), პ. საყვარელიძე („ალიონის ჯგუფი“), მ. აბაშიძე (სამაჰმადიანო საქართველო). ყრილობაზე ესერთა სახელით გრიგოლ ნათაძემ აღნიშნა, რომ 117 წელია, რაც საქართველო, როგორც ასეთი, არ არსებობდა. იყვნენ მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების „ინოროდცები“. დღეს უნდა გაერთიანდეს იგი ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად. ჩვენი ფრაქცია ზედმეტად თვლის რაიმე დაუმატოს მოხსენებას და სავსებით უერთდება მას. დასასრულ გაიმართა ეროვნული საბჭოს არჩევნები. საბჭოში აირჩიეს 67 წევრი, მათ შორის ყრილობაზე დამსწრე 60 - პარტიებისგან, სამი ადგილი მიეკუთვნა აჭარას, 2 - სოხუმის ოლქს, 1- ზაქათალის ოლქს და ერთის საქართველოში მცხოვრებ ოსებს. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს ეროვნულ

საბჭოში - ეროვნულ-დემოკრატებს ერგოთ 25 ადგილი, სოციალ-ფედერალისტებს - 10, ეროვნულ-დემოკრატებს - 9, სოციალისტ-რევოლუციონერებს - 6, „ალიონის“ ჯგუფს - 4, რადიკალ-დემოკრატებს - 1.

1918 წელს ეროვნული საბჭოს სხდომაზე სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა რ. არსენიძემ, მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად საბჭო უნდა შემდგარიყო 60 წევრისგან, მაგრამ შემდეგ მისი შემადგენლობა გაიზარდა და 88 წევრს ითვლიდა. მათ შორის სოციალ-დემოკრატი 51, სოციალისტ-ფედერალისტი - 11, ეროვნულ-დემოკრატი - 10, სოციალისტ-რევოლუციონერი - 9, უპარტიო - 2, რადიკალ-დემოკრატი - 2 და ერთიც საინგილოს წარმომადგენელი. შექმნილ ვითარებაში კომისიამ საჭიროდ დაინახა, რომ საბჭოს შემადგენლობა გადიდდეს 120 კაცამდე, ე.ი. დაემატოს 32 წევრი, რომელთაგან 17 ადგილი დაეთმობა 3 -სოციალ-დემოკრატებს, 5 - სოციალისტ-ფედერალისტებს, 5 - ეროვნულ-დემოკრატებს, 3 - სოციალისტ-რევოლუციონერებს, ხოლო 2 - რადიკალ-დემოკრატებს, 121-ე წევრი უნდა ყოფილიყო საინგილოს წარმომადგენელი. 1918 წლის 1 ივნისს გაზ. „ერთობაში“ გამოქვეყნდა ეროვნული საბჭოს წევრთა სია, რომლის მიხედვითაც ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი 116 წევრიდან 12 იყო სოციალისტ-რევოლუციონერი. ესენი არიან: კ. მესხი, გრ. ნათაძე, ვ. გობეჩია, , ი. ჩერქეზოვი, ი. გობეჩია, ი. აბაკელია, კ. ჯავახიშვილი, დ. შენგელია, ნ. პანჩუაშვილი, ი. კაკაბაძე, ი. ვარაზაშვილი. ესერთა ფრაქციის თავმჯდომარე გახლდათ იოსებ გობეჩია. ქართველი ესერები ამიერკავკასიის სეიმშიც იყვნენ წარმოდგენილი, მათ ყველაზე მცირე 5 კაცი ჰყავდათ სეიმში.

1918 წლის მაისიდან ახალი ეტაპი იწყება როგორც საქართველოს სახელმწიფოს(26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში იყო სოციალისტ-რევოლუვიონერი ივანე ლორთქიფანიძე - გზათა მინისტრის თანამდებობაზე.), ისე ესერთა ორგანიზაციაში, ამა წლის მაისში ესერთა პარტიის კავკასიის ორგანიზაციების მეშვიდე კონფერენციაზე მომხდარი განხეთქილების შემდეგ შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტია. პარტიის მთავარი

ქვაკუთხედი იყო მიწის სოციალიზაცია ანუ მიწის განსაზოგადოებრიობა უნდა მომხდარიყო, რაც კერძო საკუთრებას ძირს უთხრიდა. ივნისის ბოლოს ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა დამფუძნებელი ყრილობა, რომელზედაც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ესერთა ორგანიზაციები იყვნენ წარმოდგენილი. საქართველოში ესერთა დამოუკიდებელი პარტიის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პრესამ, კერძოდ ესერთა ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „შრომამ“ (გაზ. „შრომის“ რედაქცია თავდაპირველა განლაგებული იყო თბილისში ჭავჭავაძის ნომერ 4-ში, ხოლო 1918 წლის სექტემბრის დასაწყისიდან გადადიან ბარონის ქუჩის 16 ნომერში), რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ლ. შენგელაია, ი. ნუცუბიძე და ი. გობეჩია. ამ გაზეთის სარედაქციო განცხადებაში შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული პარტიის ძირითადი ამოცანები: სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არის მშრომელი გლეხობის და ქალაქის პროლეტარიატის პარტია, რომელიც მოითხოვს 8-საათიან სამუშაო დღეს და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მშრომელი გლეხობისთვის პარტია მხარს უჭერს მიწის სოციალიზაციას, ე.ი. მიწის უსასყიდლოდ გადაცემას მშრომელი გლეხობისთვის. უნდა მოისპოს მიწის ყიდვა-გაყიდვა და იჯარით გაცემა.

ცალკე ერებისთვის პარტია აყენებს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნას. იმ ერებისთვის, რომლებსაც აქვთ საკუთარი ტერიტორია, კერძოდ საქართველოსთვის, მიზანშეწონილია პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომია.

პარტიის მოთხოვნილებანი ორ სიტყვაში გამოიხატება: „მიწა და თავისუფლება“.

დამფუძნებელ ყრილობაზე არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა პროვინციებში პარტიული ორგანიზაციების შექმნას და ხელმძღვანელობდა მათ მუშაობას. ასე მაგალითად, მან სოხუმის ოლქში მოაწყო ესერთა საოლქო კომიტეტი და რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია. მაგრამ მისი მუშაობა ძირითადად მაინც იფარგლებოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად მივიწყებული იყო.1918 წლის აგვისტოს დასაწყისში გადმოვიდა სწორედ პარტია ქუთაისიდან

თბილისში. 3 აგვისტოს აირჩიეს ცკ-პრეზიდიუმი, განახლდა პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „შრომის“ გამოცემა. დაიწყო აქტიური მზადება პარტიის მეორე ყრილობის მოწვევისთვის. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა გაიმართა 1918 წლის 10-15 დეკემბერს თბილისში. ყრილობამ განიხილი შემდეგი საკითხები: 1)ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, 2)საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება, 3)მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება, 4)პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხცვა.), 5)პარლამენტი და პარლამენტარიზმი, 6)პარტიის ტაქტიკა, 7)ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება, 8)ინტერნაციონალი, 9)ქართული პრესა, 10)დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კამპანია.), 11)ფინანსები, 12)პარტიული მუშაობა, 13)მოხსენება ადგილებიდან, 14)მიმდინარე საკითხები, 15)ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. კრებაზე თითოეული ორგანიზაცია გზავნიდა ყოველ 200 კაცზე 1 წარმომადგენელს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ივ. გობეჩია, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მიზეზი ესერთა ცალკე დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბებისა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა საჭიროა უმთავრესად იმისთვის, რათა ერი გადარჩეს ფიზიკურ განადგურებას. მაგრამ დამოუკიდებლობამ არამარტო გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას, არამედ შეგვინარჩუნა რევოლუციის მონაპოვარი და დემოკრატიული წყობილება. ამიტომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკა - ერთადერთი მისაღები პოლიტიკა იყო მათთვის.

რაც შეეხება პარტიულ მუშაობას, აღნიშნა მომხსენებელმა, რომ მათ ექნებოდათ ბრძოლა უმთავრესად ორ იდეურ მიმდინარეობასთან, ეს არის რუსეთში - ბოლშევიზმი, საქართველოში - მენშევიზმი. დღეს ორივე კრიზისს განიცდის. ბოლშევიზმი ეს არის სოციალიზმი უდემოკრატიოდ, მენშევიზმი ეს არის დემოკრატია უსოციალიზმოდ. ისინი უარყოფდნენ როგორც პირველის ავანტიურისტულსა და „პოგრომულ“ ხასიათს, ისე მეორის ოპორტუნიზმსა და ჯგუფურ ავადმყოფობას.

პარტიაში არსებული განხეთქილების შესახებ ითქვა, რომ გაზეთ „ზნამია ნაროდას“ ესერთა მცირე ჯგუფი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდის და იგი ისეთივე უნიადაგოა საქართველოში, როგორც სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტთა ჯგუფი, რომელიც თავს იყრის რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ გარშემო.

საპარლამენტო ფრაქციის შესახებ მოხსენება გააკეთა ფრაქციის ლიდერმა იოსებ გობეჩიამ, მან აღნიშნა, რომ საპარლამენტო ფრაქციაში 12 დეპუტატია გაერთიანებული და ეს ჯგუფი პარლამენტში გარკვეულ მუშაობას ეწევა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის. კამათში გამოსულმა დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს საპარლამენტო ფრაქციის საქმიანობა და მიუთითეს, რომ ფრაქციას არცერთი კანონპროექტი არ შეუმუშავებია და არ შეუტანია პარლამენტში, მხოლოდ ახლა აპირებენ აგრარული კანონპროექტის შემუშავებასო.

იოს. გობეჩიას გამოსვლას კრებაზე ცხარე კამათი მოჰყვა, მიხეილ ფაჩუაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ვინაიდან ფრაქცია ექვემდებარება ცენტრალურ კომიტეტს და დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა, ამიტომ არ გამართულიყო დებატები აღნიშნული თემის გარშემო. თუმცა მას არ დაეთანხმა ლეო შენგელაია და საჭიროდ ჩათვალა ამ საკითხზე რამდენიმე სიტყვა ეთქვა. ამ უკანასკნელმა საკმაოდ ნეგატიურად შეაფასა ფრაქციის მუშაობა და აღნიშნა, რომ მას საკუთარი პოლიტიკა არ ჰქონია საკანონმდებლო ორგანოში. ის ამბობს, რომ გარკვეული უთანხმოება იკვეთება ფრაქციასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის და რომ ისინი არ თანამშრომლებდნენ ერთმანეთთან. ის ამბობს [13]„უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენი გამოსვლები პარლამენტში, ხშირად მკრთალი იყო რასაც თავისი მიზეზები აქვს; ერთ ასეთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ფრაქციის შედგენილობის ცვალებადობა. [14]“ ფრაქციის მუშაობას აფასებს აგრეთვე აპოლონ კაკაბაძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ მის მუშაობას ჰქონდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე.

[13] სოც. რევ. პარტიის მეორე ყრილობა - გაზეთი „შრომა, 1918, N – 106, გვ.2
[14] სოც. რევ. პარტიის მეორე ყრილობა - გაზეთი „შრომა“, 1918, N – 107, გვ.2

პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარლამენტში მათი საქმიანობა პარტიული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო ნეგატიურად კომისიებში მათი მუშაობა. (არაორგანიზებულობაში დასდო ბრალი). მკვეთრად ნეგატიურად აფასებს გრიგოლ მამამთავრიშვილიც იოსებ გობეჩიას მოხსენებას. მისი აზრით, „ფრაქციის მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს კანონპროექტების შემუშავებაში, შეკითხვების მთავობისადმი შეტანაში და პარლამენტში გამოსვლებში.“ არცერთი მათგანი არ გაუკეთებია ფრაქციას მამათავრიშვილის თქმით.

პარტიის პროგრამის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ლ. შენგელაია, რომელმაც მიუთითა, რომ საჭიროა პროგრამის გადასინჯვა, მისი შეჯერება არსებულ სინამდვილესთან, საქართველოს პირობებთან, კერძოდ, მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ცხოვრების ვითარებას, გლეხობის ნება-სურვილს. მარტო სოციალიზაციის პრინციპის წამოყენება არ იყო საკმარისი, საჭიროა კონკრეტული სახე მიეცეს ამ პრინციპს ადგილობროვი პირობების მიხედვით.

მან ყურადღება გაამახვილა პარტიის პროგრამულ მოთხოვნათა კონკრეტიზაციის და დეტალიზაციის აუცილებლობაზე.

კამათში გამოსული დელეგატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროგრამის გადასინჯვა-შევსებას, თუმცა ყრილობაზე გამოითქვა ის აზრიც, რომ თუ პროგრამის განხილვის დროს მხოლოდ ადგილობრივ პირობებზე ავიღეთ გეზი, მაშინ პროგრამა ინტერნაციონალურ ხასიათს დაკარგავსო.

ყრილობაზე ლ. შენგელაიამ გააკეთა აგრეთვე მოხსენება მიმდინარე მომენტისა და პარტიის ტაქტიკის შესახებ, რომელშიც განაცხადა, რომ ის არ ეთანხმებოდა მთავრობის პოლიტიკას - ჯერ ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება, მისი განვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ მასთან ბრძოლა. მისი აზრით საქართველოში გაბატონებულია ვიწრო, პარტიული, ჯგუფური ინტერესები და მას უქვემდებარებენ ქვეყნის ინტერესებს. მოხსენებაში

ისიც აღინიშნა, რომ პარტიის მომავალი ტაქტიკის ფორმულა უნდა იყოს „იმდენად, რამდენადაც“ - იმდენად რამდენადაც მთავრობა ემსახურება ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს< ჩვენ მას მხარს დავუჭერთ.

ლეო შენგელაიას გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა კონსტანტინე ჯავრიშვილი, რომლის აზრით ბატონმა შენგელაიამ მხოლოდ ერთი რამ დაამტკიცა[15] „რომ საჭიროა პროგრამის მუხლებში ცვლილებათა შეტანა; მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ეს შესწორება უნდა მოხდეს საკითხისთვის განსაზღვრული მომზადების შემდეგ, თუმცა მაშინაც ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ცვლილებათა დროს, მარცხნივ თუ მარჯვნივ გადახრის დროს ჩვენთვის უნდა არსებობდეს რყევის ამპლიტუდა, რომელიც განსაზღვრავს ფარგლებს, რომელთაც ჩვენ არ უნდა გავცილდეთ“.

კრიტიკოსთა შორის არის იოსებ გობეჩიაც, მისი აზრით საკითხი არ არის სწორად დასმული ლ. შენგელაიას მიერ. [16]„აქ მომხსენებელს წამოუყენებია ფილოსოფიური და სოციოლოგიური საკითხები, დაუსვამს თეორეტიული პრობლემები და კიდევ ვიცით რა?! ეს სრულიად არ იყო საჭირო, ასეთ მოხსენებას არ შეუძლია სარგებლობის მოტანა.“ როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი კრიტიკა დაიმსახურა თანაპარტიელთა მხრიდან შენგელაიამ, თუმცა ყრილობის სხვა მონაწილეების მხრიდა არაერთი პოზიტიური შეფასებაც მიიღო. საბოლოო ჯამში კი დადებითად შეფასდა ყრილობის მონაწილეთა მხრიდან მისი მოხსენება.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას მთავრობაში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი - ივანე ლორთქიფანიძე, რომელიც გზათა სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ყრილობის ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინეს მისი ანგარიში მთავრობაში მუშაობის თაობაზე. მისმა გამოსვლამ ყრილობის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა. ლ. შენგელაიამ პირდაპირ განაცხადა, რომ რაც მათ მოისმინეს, არსებითად პარტიული წარმომადგენლის მოხსენება არ იყო. პარტიის წარმომადგენელი მთავრობაში უნდა ყოფილიყო პარტიული აზრის

[15] გაზ. შრომა, 1919წ. N - 2
[16] იქვე

გამომხატველი, მაგრამ პარტიამ ხშირად არ იცოდა, რას აკეთებდა მათი წარმომადგენელი მთავრობაში. ეს მაშინ, როცა უმრავლესობის პარტია, რომელიც უაღრესად სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე უნდა მდგარიყო, უაღრესად ჯგუფურ და ვიწრო პარტიულ თვალსაზრისზე იდგა.

დასკვნით სხდომაზე ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ და გაზეთ „შრომის“ რედაქტორად არჩეულ იქნა ლეო შენგელაია, ხოლო მის მოადგილედ - ივანე გობეჩია.

ამ მომენტიდან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოში იწყებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას.. თბილისის გარდა, ისინი ზრუნავდნენ რეგიონული ორგანიზაციების გაძლიერებაზე. განსაკუთრებით ძლიერი ორგანიზაციები ჰქონდათ მათ ქუთაისსა და ზუგდიდში. აგრეთვე მათ თავიანთი ჯგუფები ჰყავდათ სოხუმში, ოზურგეთში, თელავსა და სიღნაღში. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ქართულ პოლიტიკაში ისეთივე ძალა და როლი არ ჰქონიათ, როგორც ეს ჰქონდათ სოც.დეკებს, ეროვნულ-დემოკრატებს და სოც.-ფედერალისტებს. ამის მიზეზია ის, რომ ეს უკანასკნელნი გვიან ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად და თან სოც.-დეკებმა მათ სოციალური დასაყრდენიც გამოაცალეს.

[17]1918 წლის 30 სექტემბერს გაიმართა თბილისის ხმოსანთა არჩევნები, რომელშიც სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მონაწილეობდა ესერთა პარტიაც. ხმოსნები გახდნენ გრიგოლ ნათაძე, ნიკოლაი თარხანოვი, დავით ყაჭაური, დიმიტრი დონსკოი, ანატოლი ნერუჩაევი, დიმიტრი მერხალევი, სერგეი ჩემოდანოვი, ალექსანდრე არღუთინსკი-დოლგორუკოვი და სხვები.

როგორც ვიცით, 1919 წლიდან იწყება საქართველოში მზადება დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის. ამ არჩევნებში საკმაოდ აქტიურად ჩაებნენ სოციალისტ-რევოლუციონერები

[17] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდი. ფ.2034, ან. 1, N 1 გვ7

და გამოთქვეს სურვილი, რომ მასში მონაწილეობა მიეღოთ. 1919 წლის დასაწყისიდანვე იწყებენ ისინი საარჩევნო კამპანიას. მათი საარჩევნო ნომერი გახდა 3. აღნიშვნის ღირსია მათი საარჩევნო პროგრამა, რომელიც ამ უკანასკნელებმა წარადგინეს. ისინი პროგრამაში შეეხნენ საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს და დაყვეს ის სფეროებად. პოლიტიკური სფერო - ესერთა პარტია იდგა რევოლუციის მონაპოვრის სადარაჯოზე და მთელი თავისი ძალღონით დაიცავდნენ: სიტყვის, ბეჭდვის, კრებების და კავშირების სრულ თავისუფლებას; მიმოსვლისა და გაფიცვის თავისუფლებას; პიროვნებისა და მიწის ხელუხლებლობას. საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ საარჩევნო უფლებას ყოველი მოქალაქისთვის, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. კანონმდებლობაში ხალხის პირდაპირ მონაწილეობას (რეფერენდუმი და სხვა.) . სავალდებულო და ყველასთვის თანასწორი საერო საგანმანათლებლო სისტემის შემოღებას სახელმწიფოს დაფინანსებით. სახელმწიფოსგან ეკლესიის სრულ განცალკევებას. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია აგრეთვე მოითხოვდა, რომ ხალხს ჰქონდეს უფლება აირჩიოს, გადააყენოს და პასუხისგებაში მისცეს ყველა თანამდებობის პირი. აგრარული საკითხი - მიწა უნდა გადასცემოდა საზოგადოებებს, კოოპერატივებს და უნდა ყოფილიყო საზოგადო საკუთრება. მიწის შესახებ ჩვენ ცალკე თავში გვექნება საუბარი, ამიტომ აქ ამ ლაკონური განმარტებით შემოვიფარგლებით. მუშათა საკითხი - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მიზნად ისახავდა ქალაქში და სოფლად მცხოვრები მუშათა კლასის სულიერი და ფიზიკური ძალების დაცვას, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1)8 საათიანი სამუშაო დღე, 2)სახელმწიფო დაზღვევა, 3)შრომის საკანონმდებლო დაცვა წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში, 4)მუშათა მიერ არჩეული შრომის ინსპექცია, 5)შენობების სანიტარული კონტროლი, 6)მცირეწლოვანთა (16წლამდე) და ზედმეტი მუშაობის აკრძალვა, 7)წარმოების ზოგიერთ დარგში ქალთა და ბავშვთა მუშაობის აკრძალვა, 8) ესერები მოითხოვდნენ მუშათა მინიმალური ხელფასისი დაწესებას და წარმოებაზე მუშათა კონტროლს. ეკონომიკური საკითხი - სოციალისტ-რევოლუციონერები მოითხოვდნენ სახელმწიფო და ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანოთა აქტიურ ჩარევას ქვეყნის

ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათი აზრით, საზოგადოებრივი მეურნეობის, საზოგადოებრივ წარმოებათა და კოლექტიური თაოსნობის განვითარებით შესაძლებელი იყო ეკონომიკური კატასტროფის თავიდან არიდება. ფინანსური საკითხი - ესერები მოითხოვდნენ 1. შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე პროგრესული გადასახადების დადებას, 2.მცირე შემოსავალთა გადასახადებისგან სრულიად განთავისუფლებას, 4. არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას (გარდა ფუფუნების საგნებისა.). მათი თქმით, გადასახადების მთელი სიმძიმე უნდა დააწვეს მდიდარ კლასებს. ეროვნული უმცირესობები - ესერები აღნიშნავდნენ, რომ მათი პარტია არის ინტერნაციონალური. მისთვის არ არსებობს „ელინი და იუდეველი". სომეხი, თათარი თუ ბერძენი მუშისა და გლეხის ინტერესები მისთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც ქართველი გლეხის და პროლეტარის ინტერესები. „სოციალიზმის სამეფოში" ყოველი ერი უნდა შევიდეს თავისი ეროვნული ინდივიდუალობის მრავალფეროვნებითა და თავისებურებით. თავდაცვის საკითხი - ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ორ ბანაკად გაიყო სოცილისტური ინტერნაცინალი. ქართველი ესერები რჩებოდნენ რა ერთგული რევოლუციური ინტერნაციონალის ანდერძისა და აცხადებდნენ: [18]„საქ. სოც.-რევ. პარტია საქართველოს მუდმივ ნეიტრალობასთან ერთად მოითხოვს სახალხო მილიციის სისტემის დანერგვას, ვინაიდან მხოლოდ თავისუფალი ერი თავისუფლად გაწვრთნილი და შეიარაღებული დაიცავს ღირსეულად თავის დამოუკიდებლობას."

ასეთი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საარჩევნო პროგრამა. მათ წარადგინეს 73-კაციანი სია არჩევნებზე. აქედან პირველი ათეული ასე გამოიყურებოდა: 1)ლეო შენგელაია (იურისტი), 2)ილია ნუცუბიძე(ეკონომისტი), 3)ივანე გობეჩია(იურისტი), 4)იოსებ გობეჩია(მათემატიკოსი, ინჟინერი), 5)გრიგოლ ნათაძე (გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი), 6)ივანე ლორთქიფანიძე, (გზათა მინისტრი) 7)კონსტანტინე ჯავრიშვილი (ჟურნალისტი, ესერული გაზეთის „დელა ნაროდას" რედაქტორი, 8)ილია თევზაძე (იურისტი), 9)იოსებ აბაკელია (ექიმი, ფთიზიატრიის კათედრის

[18] გაზ. „შრომა", 1919, N - 33

დამაარსებელი), 10)მიხეილ ფაჩუაშვილი (მასწავლებელი). ესერთა საარჩევნო სიაში 4 ქალბატონი იყო. ესენია: 1)მარიამ ჩხეიძე (იურისტი, 31-ე საარჩევნო სიაში), 2)ოლღა სანიკიძე (გიმნაზიის გამგე, 51-ე სიაში), 3)სოფიო ზარიძე, (მუშა, 54-ე სიაში), 4)ნინა ნადირაძე (მასწავლებელი, 68-ე სიაში). 73 კაციდან 8 მუშა (გედეონ პაპუაშვილი(21), მიხეილ გვაჯია(33), კონსტანტინე გურგენაძე(47), სოფიო ზარიძე(54), კონსტანტინე დანელია(57), ქრისტეფორე კალანდარიშვილი(58), გრიგოლ კობიძე(66), ივანე პუშკოვი(73)). 10 მასწავლებელი (მიხეილ ფაჩუაშვილი (10), ალექსანდრე კაკაბაძე(20), ნიკოლოზ კუხალეიშვილი(28), დანიელ მახარაშვილი(36), იასონ წუწუნავა(46), კონსტანტინე შალამბერიძე(48), თადეოზ შენგელაია(55), კასიანე ქინქლაძე(60), ნინა ნადირაძე(68), კორნელ ჯუღელი(70)), 5 ექიმი (იოსებ აბაკელია(9), სამსონ ბერულავა(23), გრიგოლ მამამთავრიშვილი (ვეტერინარი 35), ბიქტორ ხარბედია(38), ნიკოლოზ ანთელავა(41). 5 სტუდენტი (ივანე გოგოლაშვილი(52), აკაკი კაკაბაძე(53), ბენედიქტე ჩიქობავა(56), ანდრო გაგუა(61), სამუელ მარგველაშვილი(67) და ა.შ. აღნიშნულ სიაში ვერ აღმოვაჩენთ ჩვენ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ვლადიმერ გობეჩიას.(ეროვნული საბჭოს წევრიც გახლდათ სოციალისტ-რევოლუციონერთა მხრიდან, მანამდე ამიერკავკასიის საზღვაო მინისტრი.26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალზე ხელისმომწერთა შორისაა.) ამის მიზეზია ის, რომ 1918 წლის 19 ივნისს ვინმე ნიკოლოზ წულუკიძემ ქუჩაში გასროლით მოკლა. შეუფასებელია მისი შრომა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში. ჩემი ღრმა რწმენით, რომ არა ეს ტრაგიკული შემთხვევა სწორედ ვლ. გობეჩია გახდებოდა ქართული სოციალისტ-რევოლუცინერთა პარტიის თავმჯდომარე და არა ლეო შენგელაია(ასევე უდიდეს მოღვაწე, რომელიც დიდ პატივისცემას იმსახურებს.). ბ-ნ ვლადიმერს შემდეგნაირად აფასებს გაზეთი „შრომა“: [19] „ამხანაგ ვალოდიას სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიისა და მთელი მშრომელი ხალხისთვის. ამხ. ვალოდია თავისებური განსახიერება იყო ჩვენი პარტიის განუწყვეტელი ბრძოლისა ხალხის ბედნიერებისათვის.“

[19] გაზ. „შრომა“, 22 დეკემბერი, 1918, N - 106

ეროვნული საბჭოს წევრებმა დაგმეს მისი წევრი მკვლელობა, გარდაცვლილ ვლადიმერ გობეჩიას კი არაერთი სტატია მიუძღვნეს.

რაც შეეხება სოციალისტ-რევოლუციონერთა მიერ წარდგენილ სიას დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის, ნათლად გამოჩნდა რომ ეს ხალხი საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების გამტარებელი იქნებოდა. (ძირითადად მუშების და გლეხების). აშკარად ჩანს, რომ ესერთა სია პროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული.

საყოველთაო არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-17 თებერვალს საყოველთო ფარული, თანაბარი, პირდაპირი კენჭისყრით და მასში 15 პოლიტიკური ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. 505474 მოქალაქემ დააფიქსირა საკუთარი აზრი, აქედან 21453 ხმა მიიღო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ და ამ მონაცემებით ის მეოთხე ადგილზე გავიდა. დამფუძნებელ კრებაში შეიყვანა 5 დეპუტატი. ესენია: ლეო შენგელაია, ილია ნუცუბიძე, ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია და გრიგოლ ნათაძე.

როგორც ვიცით, ესერებს ყველაზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ იმერეთსა(ფაქტიურად ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებლები არიან პარტიის დამფუძნებლები.) და სამეგრელოში. ამ უკანასკნელში ესერთა პარტიული ორგანიზაციის ლიდერები იყვნენ მიხეილ ბერულავა(იურისტი), ნიკოლოზ ბერიძე(ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი) და დიმიტრი ჩხოლარია(ექიმი). როგორც ჩანს, სამეგრელოში ესერთა იდეები ყველაზე მისაღები და ფართოდ გავრცელებული აღმოჩნდა, ამაზე მეტყველებს თუნდაც კონკრეტულად ამ რეგიონში არჩევნების შედეგები. ზუგდიდის რაიონში მათ არჩევნები მოიგეს(3881 ხმა მიღეს, სოციალ-დემოკრატებმა კი 3343 ხმა. მოიგეს სოფლები დარჩელი(343), კოკი(296), ოირემე(373), აბასთუმანი(443), შამგონა(116), ნარაზენი(420), კორცხელი(268), რიყე(221), ჭკადუაში(129)). მეორე ადგილზე გავიდნენ ხობის რაიონსა (1399 ხმა, სოციალ-დემოკრატები - 5730), და წალენჯიხის რაიონში(2790ხმა, სოციალ-დემოკრატები - 6076ხმა.) საერთო ჯამში ზუგდიდის მაზრაში სოციალისტ-რევოლუციონერები მეორე ადგილზე გავიდნენ(8070ხმა, სოციალ-დემოკრატები -15149ხმა.) აქედან ნათლად ჩანს, თუ

რამხელა ბრძოლა გაუმართეს რეგიონში ესერებმა სოციალ-დემოკრატებს და რამხელა ძალისხმევა დასჭირდათ ამ უკანასკნელებს არჩევნების მოსაგებად. როგორც მოგვეხსენება დანარჩენი ქალაქები სოციალ-დემოკრატებმა დიდი უპირატესობით მოიგეს. თუმცა აღსანიშნავია ტფილისის მაზრა(აქ ესერები მეორე ადგილზე გავიდნენ მიიღეს1306 ხმა, სოც.-დეკებმა 23029ხმა)და ოზურგეთის მაზრა(ესერებმა922ხმა, ხოლო სოც.-დეკებმა36529ხმა. აქაც მეორეზე არიან.), სადაც ასევე დიდი ბრძოლა შედგა.კლიმატურ-გეოგრაფიულ მიზეზთა გამო, დამფუძნებელი კრების არჩევნების გამართვა შეუძლებელი გახდა ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში, ხოლო რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო არჩევნები გადაიდო ქვეყნის სამხრეთის მაზრებში. ძირითადი არჩევნები ასევე არ გამართულა სოხუმის ოლქში, სადაც ამ პერიოდისთვის აფხაზეთის ეროვნული საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა და ბათუმის ოლქში, რომელსაც ინგლისის საოკუპაციო ადმინისტრაცია მართავდა. 1919 წლის აგვისტოში გაიმართა დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები, რომელმაც გამოტოვებული მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ამ არჩევნების შედეგად ესერებს დაემატათ კიდევ ერთი დეპუტატი, მთავრობის ყოფილი წევრი ივანე ლორთქიფანიძე. 1920 წლის 27, 28 და 29 მარტს გაიმართა მეორე დამატებითი არჩევნები, რომელმაც ძირითადად სოხუმის ოლქი მოიცვა. ამ უკანასკნელის შედეგად დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლუციონერთა დეპუტატების შემადგენლობა არ შეცვლილა დარჩა ის რაც იყო. საკანონმდებლო ორგანოში ესერები უბრალო სტატისტის როლში არ ყოფილან და საკმაოდ აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ. აღნიშვნის ღირსია ორი უდიდესი პროექტი, რომელიც ამ უკანასკნელებმა წარადგინეს დამფუძნებელ კრებაში. ესენია პროექტები აგრარული საკითხისა და კონსტიტუციის შესახებ.(მათ შესახებ ჩვენ მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.) თუნდაც რად ღირს პარტიის ლიდერთა აღტკინებული და ემოციური გამოსვლები საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნაზე. მათ არაერთი გამოსვლა მიუძღვნეს ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს. 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭთა რუსეთის მე-11 წითელი არმია სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით შევიდა ბაქოში. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციია სახელით ლეო

შენგელაიამ გადაჭრით დაგმო რუსეთის აგრესია აზერბაიჯანის მიმართ. ჩვენ არ გვინდა ომი არავისთან, მით უფრო რუსეთთან. ჩვენ გვინდა ყველა მეზობელთან მეგობრული, კეთილი განწყობილება, , მაგრამ ერთ რამეს ყველასგან მოვითხოვთ: ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა იყოს ხელუხლებელი, თავისუფლება უზრუნველყოფილი. ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრება ახალი და შეიძლება უკანასკნელი საფრთხე. ჩვენ დაგვჭირდება ახალი ბრძოლა ჩვენი დამოუკიდებლობისთვის, , მისი განმტკიცებისთვის, მაგრამ ჩვენ გვწამს, რაც უფრო მეტს ვიბრძოლებთ ამ დამოუკიდებლობისთვის, მით უფრო ძვირფასი იქნება იგი ჩვენთვის. ამ პერიოდისთვის ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დიდი განსაცდელი უახლოვდებოდა რუსეთის სახით და მოხდა კიდეც ის, რასაც რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ისახავდა მიზნად. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში რუსეთის ანექსია განხორციელდა. ბოლშევიკური ოკუპაციის პირველ ხანებში ესერების პარტია ორად - მემარცხენე და მემარჯვენე ნაწილებად გაიყო. მემარჯვენე ესერები მტრულად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მემარცხენეები შედარებით თავშეკავებული იყვნენ საბჭოთა რუსეთის მიმართ და დასთანხმდნენ, შესულიყვნენ მთავრობის შემადგენლობაში. საქართველოს ბოლშევიკებმა არ მოისურვეს ესერებთან თანამშრომლობა. მათ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები არც ესერებთან დ არც სხვა ოპოზიციურ პარტიებთან დაახლოების მიზნით. 1921 წლის ბოლოს ქართველი ესერების პარტიამ, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. თვით საქართველოს საგანგებო კომისიას (ჩეკას) 1922-23წწ-ში ესერთა აქტივობის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ გააჩნდა. თუმცა იყვნენ ესერთა მცირე ჯგუფები, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს დამოკიდებლობისთვის. 1922 წლის დასაწყისში საქართველოში პარტიათა მოლაპარაკებების ფონზე, რათა შექმნილიყო საერთო ფრონტი ბოლშევიკურ საოკუპაციო რეჟიმთან საბრძოლველად, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაში განხეთქილება მოხდა: 1922 წლის 20 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მესამე ყრილობა, რომელიც მოაწყო ე.წ. „მემარცხენეთა“ ფრთამ. მათ პარტიიდან გარიცხულად გამოაცხადეს იოსებ გობეჩია, ილია ნუცუბიძე და ივანე ლორთქიფანიძე. აირჩიეს ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში

შევიდნენ - ლეო შენგელაია და ივანე გობეჩია. თავის მხრივ, პარტიის მეორე ნაწილმა იოსებ გობეჩიასა და ივანე ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით პარტიიდან გარიცხულად ლეო შენგელაია, ივანე გობეჩია და მათი მხარდამჭერები გამოაცხადეს. 1922 წლის მაისში სოციალისტ-რევოლუციონერთა მცირე ჯგუფის, სოციალისტ-ფედერალისტთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია - „სხიველების“ მეთაურობით შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის მთავარ მიზანს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. ამ მოძრაობის აქტიური წევრი იყო ცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერი იოსებ გობეჩია, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და ბოლშევიკ ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტთა რიგებში ჩადგა. ეს უკანასკნელი დამკომის მიერ გაიგზავნა უცხოეთში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან სახალხო ამბოხების საკითხებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში დარჩენილიყო. ერთხანს იყო სოციალ-დემოკრატიული ემიგრანტული გაზეთის - „დამოუკიდებელი საქართველოს“ რედაქტორი. ემიგრანტული ჟურნალის - „ჩვენი დროშა“ შეფასებით: იოსებ გობეჩია იყო დაუღალავი მებრძოლი ქართული საქმის. უცხოეთში მის შეუჩერებელ მოღვაწეობას საქართველოს უფლების დასაცავად- ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მოხუცი, ავადმყოფი უკანასკნელ დღემდე არ უშვებდა შემთხვევას, მონაწილეობა მიეღო ქართულ საქმეში. ცდილობდა უცხო პრესაში გაეტანა ქართველი ერის ბრძოლა და გაეცნო საზოგადოებრივი აზრისთვის გარადუვალი სურვილი ქართველი ერისა, ეროვნული თავისუფლების აღსადგენად.

1937 წელს ვერ გადაურჩნენ ვერც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები ივანე გობეჩია, ივანე ლორთქიფანიძე და მიხეილ ჭანიშვილი და დახვრიტეს.

გასაბჭოების შემდეგ ასე თითო-ოროლა ესერი თუ გამოჩნდებოდა პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე, თორემ პარტია როგორც ასეთი უკვე არ არსებობდა.

თავი მესამე

ესერები და აგრარული საკითხი

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქვაკუთხედი აგრარულ სფეროში იყო მიწების სოციალიზაცია ანუ უნდა მომხდარიყო მიწის განსაზოგადოებრიობა (სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ მიწის კერძო საკუთრების). თუმცა სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ საჭიროა ეტაპობრივად გავაანალიზოთ თითოეული პროცესი,რომელიც დაკავშირებულია ესერთა აგრარულ საკითხთან და წინ უძღვოდა მთავრობის მიერ მიწის კანონის მიღებას. ესერებს მიაჩნდათ, რომ რუსული ბოლშევიზმი იყო სოციალიზმი უდემოკრატიოდ, ხოლო ქართული მენშევიზმი - დემოკრატია უსოციალიზმოდ. ესერები უარყოფდნენ აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების სტრატეგიულ პოლიტიკას - ჯერ ბურჟუაზიული სისტემის განმტკიცებას და ამის შემდეგ სოციალიზმის მშენებლობას. ისინი პირდაპირ სოციალისტური სისტემის რეალიზაციის მომხრენი იყვნენ და ხშირად მემარცხენე პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ მთავრობას. ახლა მოდით უშუალოდ შევეხოთ ქართველ ესერთა დამოკიდებულებას აგრარული საკითხის მიმართ, რამეთუ სწორედ ეს უკანასკნელი იყო ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სხვა ქართული პოლიტიკური პარტიებისგან. ისინი ადრეული პერიოდიდან პირდაპირ აკრიტიკებენ მთავრობის პოლიტიკას მიწასთან მიმართებაში. ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულისთვის, ისინი მკაფიოდ გმობენ მთავრობის განზრახვას გლეხებისთვის მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ. მათი აზრით, მენშევიკურ მთავრობას ამ საკითხში არაფერი გაეგება და სრულიად უსუსური და არაფრისმომცემია მათი „ფაფხური“. თავის მხრივ ესერებს მიაჩნიათ ,რომ მიწები მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ და არა გლეხებს პირად საკუთრებაში. [20]„რამდენიმე პროტესტანტი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს მიწების გლეხებზე კერძო საკუთრებათ მისყიდვის თაობაზე, ამავე საკითხს ეხება გაზ. „ერთობაში“ მუშა ბ. შერთულისპირელი, ის

[20] „პრესა“ - გაზ. „შრომა“ 10 აგვისტო, 1918, N - 6, გვ. 2

სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემა ვერ მოსპობს ანარქიას.“

სანამ აგრარული საკითხი კანონის სახეს მიიღებდა, მანამ მიმდინარეობდა ფართო მსჯელობა და კამათი ზემოთ მოყვანილ თემაზე. ესერები ყველაზე უფრო დიდი კრიტიკოსები იყვნენ მთავრობის აგრარული პოლიტიკის, თუმცა ისინიც კი აღნიშნავდნენ, რომ აღნიშნული საკითხის იმნაირად გადაჭრა, რაც რევოლუციის დღეებში იყო ჩაფიქრებული გაჭირდებოდა, რამეთუ შინაურ თუ გარეშე ძალთა პოლიტიკური მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება მიწების განსაზოგადოებრიობის მიმართ ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლეოდა. დემოკრატიული შესაძლებლობის შეზღუდულობის ნიშანი იყო სწორედ ის, რომ ქვეყანაში იმპერიალისტები (მენშევიკები) ბობოქრობდნენ და ანარქიული მოცემულობა შექმნეს, რაც ნიადაგს აცლიდა რევოლუციის მთავარი თემის - მიწის საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას, ასე ფიქრობდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები.

ესერები ადანაშაულებდნენ ამავე დროს მენშევიკ ჩინოვნიკებს ტენდენციურობასა და ხალხის აზრის გაყალბებაში, რაც ხელს უწყობდა მთავრობის თვითრწმენას საკუთარი პოლიტიკის სისწორეში. მაგალითად, გაზ. შრომის 1918 წლის 21 სექტემბრის 34 ნომერში ფარდა აეხადა ზუგდიდის მაზრის წარმომადგენლის ვინმე ჩიქავას მოქმედებას. ამ უკანასკნელმა საკუთარი მაზრის მცხოვრებთა სახელით ისაუბრა საერთო პარტიულ (მენშევიკთა) ყრილობაზე და განაცხადა, რომ მოსახლეობა ყაბულზე იყო მიწების შესყიდვაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა, ამაზე მეტყველებს თუნდაც კოკის (ამჟამად სოფელი ზუგდიდში.) საზოგადოების დადგენილება მიწის საკითხზე, სადაც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ გლეხებს სურთ მიწის უფასოდ დარიგება. [21]„ასე ყალბ ცნობებს იძლევიან გლეხების შესახებ ტენდენციოზურათ მოაზროვნე ხალხი. ასეთი მოქმედება კი საქმის გაკეთებას ძლიერ უშლის ხელს.“

[21] უჩა. როგორ მოქმედებენ სოციალ-დემოკრატები - გაზეთი „შრომა“, 21 სექტემბერი, 1918, N - 34 გვ.1- 2,

როგორც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მთავრობამ მიწის საკითხის გადასაჭრელად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და შექმნა საადგილმამულო კომისიები თითოეულ მხარეში, რომელთაც უნდა გამოეკვლიათ და შეესწავლათ ამა თუ იმ მხარის თავისებურებები, რაც გავლენას იქონიებდა რეფორმის მუხლებზე. სამუშაოები უკვე 1917 წლიდან დაიწყო, 1 წლის გასვლის შემდეგაც კი არავითარი შედეგები არ იყო. ესერების აზრით, კომისია საკმაოდ ნელა და არაეფექტურად მუშაობდა. ამიტომაც კი ზოგიერთმა გლეხმა კი უკვე სანამ კომისია მოვიდოდა საკუთარ კარ-მიდამოსთან, მანამ უკვე მოასწრო „რევოლუციური“ გზით მიწის „ დაკანონება“. ქართველ ესერთა აზრით კი [22]„ამ დაგვიანების უმთავრესი მიზეზი არის ის უბრალო გარემოება, რომ თვით მმართველი პარტია განიცდის დიდ რყევას ამ საკითხში, რომ თვით სოც.დემოკრატიამ არ იცის როგორ გადასჭრას აგრარული საკითხი.“ ისინი ფიქრობდნენ, რომ დაყოვნება დანაშაულია სახელმწიფოსი მშრომელი ხალხის წინაშე.

1918 წლის დეკემბრის ბოლოსთვის (29 დეკემბერი, N - 112) გაზ. „შრომაში კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა მიწათმოქმედების სამინისტროს მიმართ, რომელმაც სწორედ ამ პერიოდისთვის დაასრულა მუშაობა მიწის კანონპროექტზე. სტატიის ავტორი (დილიანი), 7 მარტის კანონს (გლეხებს მიწა გადაეცემოდათ პირად საკუთრებაში) გლეხობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს და თვის მხრივ ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამს [23]„კერძო საკუთრებათ მიწების გაყიდვა ჩვენ მიგვაჩნია დიდ უსამართლობათ და მასთან სოციალისტური თვალსაზრისისთ უაზრობათ. ვინ უნდა იყიდოს მიწა? მიწა ესაჭიროება სწორეთ იმ გლეხს, რომელსაც ფული არა აქვს. რით შეიძინოს მან ეს მიწა?!“

ახლა მოდით ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ ორ საფუძველს, რომელზედაც შენდებოდა სოციალისტური პარტიების პოლიტიკა და აგრარული პროგრამა. პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს ესერთა პარტია, რომლის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე გამოაქვეყნა ა.

---

[22] ფარი.საადგილმამულო კომიტეტის მუშაობა - გაზეთი „შრომა“, 24 სექტემბერი, 1918, N – 35, გვ.23

[23] დილიანი. მიწის კეძო საკთრებათ გაყიდვის კანონპროექტი - გაზეთი „შრომა“, 29 დეკემბერი, 1918, N – 112, გვ.1

ოდიშელმა. მან ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბა აგრარული საფუძვლები. მისი აზრით, სოციალისტური აზროვნების აგრარულ სფეროში არსებობს ორი მიმართულება, დებულება. პირველი დებულებაა _ ორთოდოქსალურ-მარქსისტული _ ემყარება რა მარქსისტულ მსოფლმხედველობას, უარყოფითად უყურებს ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია კაპიტალიზმის ხანაში კერძო საკუთრების წინააღმდეგ. გაურბის კაპიტალური წყობილების წინააღმდეგ ყოველგვარ იერიშს. ამ მიმდინარეობის მიხედვით სოფლის მეურნეობას ასულდგმულებს ის კანონები, რომელიც მოქმედებს ინდუსტრიულ წარმოებაში, ცდილობს შექმნას სოფელში ისეთი პირობები, რომელიც დააჩქარებენ გლეხობის დიფერენციაციას, მის დაყოფას ორ ბანაკად: პროლეტარებად და სოფლის ბურჟუაზიად. ეს მას მიაჩნია ისტორიულ აუცილებლობად. მეორე დებულებაა ხალხოსნური, რომელიც დგას დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე. ამ უკანასკნელის თანახმად, კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში, იმ სახით რა სახითაც არსებობს ინდუსტრიაში, შეუძლებელია. უტოპიაა, რომ სოფელში არსებობს წვრილი ერთეული, რომელიც არ ისპობა, მიუხედავად მრავალი მისთვის არახელსაყრელი პირობებისა. ეს ერთეულია წვრილი სასოფლო მეურნეობა მშრომელი გლეხის. ამ უკანასკნელმა დაამტკიცა, რომ არავითარი დიფერენციაცია, მსგავს ინდუსტრიულ ცხოვრებაში, სოფელში არ ხდება და თუ დღეს ასეთ მოვლენას ადგილი აქვს, ეს შედეგია იმ არანორმალური მდგომარეობის, რომელიც არსებობს სხვადასხვა ეკონომიკურ კატეგორიათა შორის. ამგვარად გახდა მშრომელი გლეხი თანაბარი პროლეტარის და ამათ უნდა ააშენონ მომავალი „სოციალისტური ტაძარი“. ასე, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია დადგა გლეხის ინტერესის დაცვის პლატფორმაზე, დროშაზეც კი აღნიშნა თავისი რადიკალური შეხედულება: „მიწა და თავისუფლება“. აქედან გამომდინარე ოდიშელი ასკვნის, რომ სწორედ ამ ორი პრინციპით შეუძლია იხელმძღვანელოს ყველა პარტიას საადგილმამულო რეფორმის გატარების დროს. [24]„მაგრამ თუ ჩვენ ჩავუკვირდებით უმრავლესობის პარტიის აგრარულ შემოქმედებას, აშკარათ

[24] ორიოდე სიტყვა ს.-დ. აგრარულ შემოქმედებაზე - გაზეთი „შრომა“, 1919, N - 4

დავინახავთ, რომ არცერთი ზემოხსენებული პრინციპი მას არ უდევს სარჩულათ. სრული უპრინციპობა, უსისტემობა, გარკვეული გეზის უქონლობა წითელი ხაზივით გადის მთავრობის საადგილმამულო მოღვაწეობაში.“

ბ-ნი ოდიშელის აზრით, მთავრობა ამ კანონპროექტით არც მწვადს წვავს და არც შამფურს, ვინაიდან მიწათმოქმედების სამინისტრო ერთი დადგენილებით კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას ამტკიცებს, მეორით კი ზღუდავს ამ დადგენილებას. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ შვიდი დესეტინის ფარგლებში მესაკუთრე აბსოლუტური სუვერენია, სრული ბატონ-პატრონი. მეორე დადგენილება კი მეპატრონეს აძლევს იჯარით გაცემული მისგან მეოთხედს, მეხუთედს ან მეექვსედს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის ესა თუ ის ადგილი სინოყივრის მიხედვით. აქ უკვე სახელმწიფო veto-ს ადებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც მოითხოვს მოიჯარადრისგან მეპატრონის სასარგებლოდ მესამედს ან ნახევარს, ამგვარად სუვერენული უფლება მიწის მესაკუთრის უკვე ილახება.

საბოლოო ჯამში მენშევიკურმა მთავრობამ გადაწყვიტა მიწა მემამულეებისთვის ჩამოერთმია და გადაეცა გლეხისთვის, მაგრამ არა უფასოდ, არამედ შეღავათიან ფასში. ამონაგები თანხები ხმარდებოდა რეფორმის გატარებას და მიწაზე ზოგიერთ ვალდებულებათა (მაგ. ბანკის ვალი) გასტუმრებას. 1919 წლის 28 იანვრის სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები „ სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა“ და „ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების“ შესახებ. ასევე, აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც შეჩერდა მიწების ყიდვა გაყიდვა. მიწის მესაკუთრეს არ შეეძლო ნორმის ფარგლებში დატოვებული მიწების გაყიდვა-დაგირავება. ესერთა აზრით, გლეხს აქვს სრული იურიდიული და ზნეობრივი უფლება თავისი პრეტენზიები წამოაყენოს, მოითხოვოს მიწა უფასოდ. ყოვლად მიუღებელია ადამიანმა იყიდოს ის ნივთი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. ესერები მოუწოდებენ სოციალისტურ პრესას, რომელიც დგას გლეხთა

ინტერესების დაცვის პლატფორმაზე, რომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს სოც.-დეკების აგრარულ პოლიტიკას და კანონპროექტის დეტალური ანალიზით ნიღაბი ახადოს მის დამახინჯებულ, ხელოვნურად გაფერადებულ სახეს და დაუმტკიცოს მშრომელ გლეხობას, რომ ის ვერ განკურნავს მის იარებს, რომ მასში კვლავ იკლაკნება ის ჭია, რომელიც დღემდე საფრთხეს უქმნიდა მის არსებობას.

გარდა მენშევიკური აგრარული კანონპროექტისა საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა კამათი სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის ალტერნატიულ კანონპროექტზე, რომელიც ესერებმა წარადგინეს 1919 წლის 20 იანვარს (28 იანვარს მიიღეს მენშევიკებმა აგრარული კანონი). ამ უკანასკნელთა აზრით, მიწა არის მუშის მარჩენალი და მისი კეთილდღეობის მთავარი წყარო. თუ მიწის მუშას მიწა არა აქვს, ის უბედურია. მდიდრები დღეს ცდილობენ მიწა ხელში ჩაიგდონ. ისინი სარგებლობენ მიწის მუშის გაჭირვებული მდგომარეობით და და ჩალის ფასად იგდებენ ხელთ მათ მიწა-წყალს და საცხოვრებელს. აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში მოხსენება წარადგინა ესერთა ერთ-ერთმა ლიდერმა ილია ნუცუბიძემ. ამ კანონპროექტის საერთო დებულება შედგებოდა რვა მუხლისგან, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პირველი სამი და მეშვიდე და მერვე მუხლები. პირველი მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მიწები, ტყეები და წყლები და აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიწის წიაღშია, შეადგენს ამიერიდან და სამუდამოთ ხალხის საერთო ავლადიდებას. მეორე მუხლით, ყოველ მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება მიწაზე, ტყეზე და წყალზე და აგრეთვე ყოველივე მასზე, რაც მიწის წიაღშია. მესამე მუხლით, უზენაესი გამგებლობა მიწის, ტყეების, წყლების და აგრეთვე ყოველივე იმის, რაც მიწის წიაღშია, ეკუთვნის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს. ადგილობრივი გამგებლობა ამ ძირითადი კანონით დაწესებულ საფუძვლებზე ევალება ადგილობრივ თვითმმართველობას, თითოეულს თავისი ტერიტორიის ფარგლებში. მეშვიდე მუხლის თანახმად, კერძო პირთა, კავშირთა და დაწესებულებათა ამჟამად კუთვნილი უფლებები მიწაზე, რამდენადაც ეს უფლებები ამკანონს ეწინააღმდეგება, გაუქმებული იქნება.

მერვე მუხლით, მიწები შრომის ნორმის ზემოთ, ტყეები, წყლები და აგრეთვე ყოველივე რაც მიწის წიაღშია მეპატრონეთ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვათ. რაც შეეხება მიწით სარგებლობას, ეს უკანასკნელი შეიძლებოდა შემდეგი დანიშნულებისთვის: ა)საზოგადოების აუცილებელ და სასარგებლო ხასიათის დაწესებულებათათვის, რომელთაც როგორც საერთო სახელმწიფოებრივი,ისე ადგილობრივი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ბ)კერძო მშრომელთა მეურნეობისთვის, რომელსაც აწარმოებს საკუთარი შრომით ცალკე პიროვნება, ოჯახი, ამხანაგობა ანუ ატელი. გ) როგორც სასარეწაო, ისე სამრეწველო საჭიროებისთვის. დ) მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. 12) მიწით პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნება უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე მიწის მუშა. 13) ყოველი მოქალაქე, რომელიც მოისურვებს მიწის დამუშავებას, მიმართავს სახელმწიფოს ცენტრალურ ან ადგილობრივ თვითმმართველობათა საადგილმამულო დაწესებულებებს, რომლებიც ვალდებულნი არიან: ა) ან დაასახლონ ის ერთ რომელიმე ბევრ მიწის მქონე სოფლის საზოგადოების მიწაზე განსაკუთრებულ კანონში ნაჩვენები წესით, ბ) ან მისცენ მას მიწა სათადარიგო ფონდიდან, გ) ან მოაწყონ ის ერთ რომელიმე სასოფლო სამეურნეო დაწესებულებაში. 14) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიეცემათ საკუთარ შრომით სარგებლობისთვის კანონით განსაზღვრულ ნორმის ფარგლებში. 15) წესდება ორი ძირითადი ნორმა მიწით საკუთარი შრომით სარგებლობისთვის: ნორმა მოთხოვნილებისა (მინიმალური) და ნორმა შრომისა (მაქსიმალური). 16) ზემოხსენებულ ნორმების განსაზღვრის წესი ცალკე კანონით აღინიშნება. ნორმის რაოდენობის განსაზღვრა კი თვითოეულ სასოფლო-სამეურნეო რაიონის პირობების მიხედვით ევალება ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს. 19) საკუთარი შრომით დასამუშავებლად გაცემულ მიწაზე არავითარი გადასახადი არ იქნება დადებული არც მიწის ბაჟის და არც იჯარის სახით. გადასახადი დაედება მხოლოდ მიღებულ ნორმის ზევით გადარჩენილ მიწებს და არაჩვეულებრივ შემოსავალს, რომელიც გამოწვეულია მიწის ნიადაგის განსაკუთრებული თვისებების, ან მიწის სხვა უპირატესობით. 20) მიწა მიწა შეიძლება მიეცეს სასარგებლოდ: ა) კერძო პირებს და ოჯახებს, ბ) საადგილმამულო ამხანაგობებს, რომლებიც თანაბრად მას

გაინაწილებენ, გ) კავშირებს, რომლებიც ერთად მუშაობენ და თანაბრად ინაწილებენ პროდუქტებს. 21) მიწის თანაბრად განაწილებას კერძო პირთა, ოჯახთა და მათ ჯგუფთა შორის განაგებს სოფლის საზოგადოება, როგორხ ადგილობრივი თვითმმართველობის უმდაბლესი ინსტანცია, მხოლოდ უმაღლეს თვითმმართველ ორგანოების ქვეშ, რომელიც (საზოგადოება) იცავს მიწის კანონის საერთო ნორმებს და უთანხმებს ადგილობრივ მიწით სარგებლობის ფორმებს. გამგებლობითი უფლებები უმდაბლეს თვითმმართველი ორგანოებისა მიწის შესახებ განისაზღვრება ცალკე კანონით. 23) ვინც მიწით სარგებლობას თავს ანებებს და აბარებს ამ მიწას სათანადო თვითმმართველ ორგანოს, მას უფლება აქვს მიიღოს შესაფერისი ჯილდო, რომელიც აუნაზღაურებს მიწის გასაუმჯობესებლად მის მიერ გაწეულ ხარჯებს და შრომას, რომლის ნაყოფით მან ვერ ისარგებლა. 25) მიწების გადაცემა შესაძლებელია მემკვიდრეობით, ხოლო იმ პირობით, რომ ერთი და იმავე ხელში არ დაგროვდეს მიწა კანონით დაწესებული შრომის ნორმის ზევით. 31) ტყეები და ტყიანი მიწები, როგორც ხალხის საერთო ავლადიდება, გადადის სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს უზენაეს განკარგულებაში. 38) კერძო პირთა, კავშირთა და დაწესებულებათა ამჟამად კუთვნილი უფლებები ტყეზე რამდენადაც ისინი ამ კანონს ეწონააღმდეგება გაუქმებულ იქნეს. 39) მიწის წიაღში ჩამარხული სიმდიდრე, რომელსაც ამუშავებენ ან რომელიც დაუმუშავებლად რჩება, ან აღმოჩენილ იქნება მომავალში გადადის სახელმწიფოს უზენაეს გამგებლობაში.

ამრიგად, ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ყველა ის ძირითადი თეზისი, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის აგრარულ კანონპროექტში იყო, რომელიც რა თქმა უნდა, „ჩავარდა“ და სოც.-დეკებმა არ შეცვალეს თავიანთი კურსი. სიმართლე რომ ვთქვათ, ესერების ამ ინიციატივას პარლამენტში დიდი ყურადღება და გამოხმაურება არ მოჰყოლია, ესერებსაც შესანიშნავად მოეხსენებოდათ ეს ყველაფერი, უბრალოდ მათ სცადეს იქნება „განათებულიყო გონება“ მენშევიკებისა. პარლამენტში ძირითადად ამ უკანასკნელთა კანონი იწვევდა აჟიოტაჟსა და ფორიაქს. გაზ. შრომა ისევ და ესევ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა

მიწის თემას. [25]„ვინც მიწათმოქმედების მინისტრის მიერ შეთხზულ კანონ-პროექტს, - ეხლა უკვე კანონათ ქცეულს, - ოდნავათ მაინც იცნობს, ვინც ვიწრო პარტიული ფანატიზმით არ არის შებოჭვილი და ვინც მშრომელი ხალხის ინტერესების გულწრფელ დამცველად სთვლის თავს, მან გულახდილად უნდა აღიაროს, რომ ეს კანონი მეტად უხეირო, ცალმხრივი და სრულებით დაუსაბუთებელია. ამიტომაც იგი სავსებით მიუღებელია, მიღებული კანონი არ ხელმძღვანელობს სისწორით გაგებულ არც სახელმწიფოებრივი, არც საზოგადოებრივი და არც მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ეს კანონი გახლავთ სოციალ-დემოკრატების ვიწრო პარტიული ჟინიანობის დომხალი, რომელიც, რათქმაუნდა, მშრომელი ხალხისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში ხსენებული კანონის ცხოვრებაში გატარება იქნებოდა მშრომელი ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება, მისი შებღალვა ერთი მხრით და ბურჟუაზიის გამარჯვება და მისი პოზიციის გამაგრება - მეორეს მხრით.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლეო შენგელაიას კრიტიკული და ირონიული გამოსვლა პარლამენტში, რომელიც შედგა 18 იანვარს (1919წ.). მან მეტად ირონიულად აღნიშნა, თითქოს კანონპროექტის ავტორი (ნოე ხომერიკი-მიწათმოქმედების მინისტრი) გლეხისთვის კერძო საკუთრებად მიწის გადაცემას იმით ასაბუთებს, რომ თითქოს ეს უკანასკნელი კერძო საკუთრების მოტრფიალე და ფანატიკოსია. ბ-ნი შენგელაიას აზრით კი გლეხის გარდა,კერძო საკუთრების მოტრფიალე შეიძლება იყოს მუშა, ვაჭარი,ინტელიგენტი და სხვაც. ასე რომ, მინისტრის ეს ლოგიკა არასწორია. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მენშევიკებმა მიიღეს მიწის ეს კანონი 1919 წლის 28 იანვარს. პარლამენტში განხილვის დროს სოც.-დემოკრატი დეპუტატის ლეო ნათაძის გამოსვლა ზემოთ აღნიშნული კანონის მხარდასაჭერად იყო საცოდავი და ამაზრზენი, როგორც ამას ლეო შენგელაია გადმოგვცემს. ფაქტობრივად, მიწის საკითხზე იდგა სოციალისტ-

[25] მენშევიკური დომხალი - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 18, გვ.4

რევოლუციონერთა პარტია. მაგალითად, 1919 წლის თებერვალში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებზე პარტიის მთავარი ლოზუნგი იყო „მიწა მიწის მუშებისთვის“.

თავი მეოთხე

ესერები და კონსტიტუცია

საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოებრიობისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციონალიზმის მყარი სისტემის ჩამოყალიბება. ამისთვის კი აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ისეთი კონსტიტუციის არსებობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატიული მმართველობა, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე საკონსტიტუციო საქმიანობა. ეს ის პერიოდია როცა მსოფლიოს მნიშვნელოვანი კრიზისული პერიოდი ედგა. იშლებოდნენ ევროპის უმსხვილესი იმპერიები - ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი, ოსმალეთის იმპერია და სხვები.

ასეთ პირობებში 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო კონსტიტუცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წესწყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა; საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი, სახელმწიფო ენა ქართული; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად. აღსანიშნავი ფაქტია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება დაიწყო ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ. დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელიც შედგებოდა 15 კაცისგან.უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, კომისიის თავმჯდომარე გახლდათ რაჟდენ არსენიძე.(ამ უკანასკნელის იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა პავლე საყვარელიძემ.). კომისიის წევრთა

შორის წარმოდგენილი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაც ივანე გობეჩიას სახით. თუმცა ეს უკანასკნელი, რათქმაუნდა, ნაკლებ გავლენას ახდენდა კომისიის მუშაობაზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგებოდა 17 თავისგან და 149 მუხლისგან.

აღნიშნულ კონსტიტუციას მკაცრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. დაპირისპირება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა მენშევიკებმა კონსტიტუციის პროექტი შემოიტანეს დამფუძნებელ კრებაში. პირდაპირ ადანაშაულებდნენ საკანონმდებლო ორგანოს იმაში, რომ მან ყალბი კურსი აიღო და მუშათა კლასის ინტერესებს უარყოფდა. მათი აზრით, მენშევიკთა კონსტიტუციის პროექტი იდგა ბურჟუაზიულ საფუძველზე და რომ მას სრულებითაც არ ეტყობოდა მშრომელთა რევოლუციის გავლენა. ესერი ი. ხალხიშვილის განმარტებით, კონსტიტუციის პროექტის უმეტესი ნაწილი დეკლარატიული ხასიათის იყო და არ იძლეოდა კონკრეტული შინაარსის ნორმებს. ამის მაგალითად მოჰყავს მას მე-13 თავი, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა მუხლი, რომელშიც წერია: [26]„რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისთვის“. ბ-ნი ხალხიშვილის აზრით კი „ეს მცნება მეტად ფართოა და ყველას შეუძლია თავისებურად გაიგოს, ასე რომ ეს მუხლი არავითარ კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მოქალაქესადმი არ აკისრებს. ასეთი ბევრია სხვა მუხლებიც.“

ესერთა აზრით, პროექტი კომპილაციური ხასიათის იყო. გადმოღებული იყო სხვადასხვა ბურჟუაზიული კონსტიტუციებიდან და ამიტომ არავითარი შეხება არ ჰქონდა ქართულ სინამდვილესთან. ეს უკანასკნელი კი მშრომელი გლეხობის სინამდვილე იყო. ესერთა თქმით, ბურჟუაზიის სისუსტის პირობებში მშრომელი გლეხობა ქმნიდა ისტორიას და მენშევიკები კი ბურჟუაზიულ კონსტიტუციას ქმნიდნენ. ასეთი უკუღმართობის შედეგი ერთი იქნება: [27]„მშრომელი დემოკრატია მიუღებლად ჩათვლის მისთვის უცხო საკონსტიტუციო

[26] გაზ. შრომა - 12 დეკემბერი, 1920, N-20, გვ.1
[27] იქვე

სამოსელს და მას არ ჩაიცვამს. წინააღმდეგობა ხალხის უფლებრივ შემეცნებასა და დაწერილ ნორმებს შორის შექმნის სახელმწიოებრივ კრიზისს და რა შედეგებს მოგვცემს ეს კრიზისი?!". სოციალისტ-რევოლუციონერები ამასთანავე გაკვირვებულნი არიან ხალხის გულგრილობით [28]„ხალხს უქმნიან ყოფაქცევის ზღუდეებს და ის სდუმს, თითქოს მას არაფერი ეხება." ეს ფაქტი მრავლისმეტყველია. ერთგვარად განაწყენებული ესერები ფიქრობენ, რომ ხალხი საკუთარი ხელით ჭედავს საკუთარი მონობის ბორკილს. ასეთ პირობებში სოციალისტ-რევოლუციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მათ არ მიიღონ მენშევიკური კონსტიტუცია და ისინი ალტერნატივის სახით დამფუძნებელ კრებას წარუდგენდნენ კონსტიტუციის საკუთარ პროექტს. თუმცა მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ მათ პროექტს საკანონმდებლო ორგანოში გასაქანი არ ექნებოდა. ესერებმა საკუთარი პროექტი კონსტიტუციისა დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის 15 დეკემბერს შეიტანეს. აღნიშნული პროექტის მთავარი დებულებები შემუშავებული იყო მარიამ ჩხეიძის მიერ. აღსანიშნავი ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატთა პროექტს მხარს უჭერდა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, ესერების გარდა. ესერების აზრით[29] „მენშევიკები, ფედერალისტები და უკიდურესი მემარჯვენენი ნაციონალისტ-ეროვნულ-დემოკრატები ერთი აზრით და ერთი გრძნობით არიან გამსჭვალულ ამ შემთხვევაში. საკვირველი კომპანიაა!"

ისინი ფიქრობდნენ, რომ სწორედ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კონსტიტუცია აყენებდა ხალხს კოლექტიური შემოქმედების გზაზე და ამ გზის მეშვეობით შეიძლებოდა საქართველოს აღორძინება. არ შეიძლება არ ვახსენოთ ლეო შენგელაიას ბრწყინვალე გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციასთან დაკავშირებით. გამოსვლის დასაწყისში ბ-ნი შენგელაია ვერ მალავს თავის კმაყოფილებას, რომ სწორედ მათ ხვდათ წილად(დეპუტატებს) ეს უდიდესი ბედნიერება, რომელსაც სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ნათლისღება - კონსტიტუციის შემუშავება ჰქვია. ეს უკანასკნელი აღნიშნავს,

[28] გაზ. შრომა - 12 დეკემბერი, 1920, N-20, გვ.1
[29] შრომის რესპუბლიკა - გაზეთი „შრომა", 19 დეკემბერი, 1920, N – 20, გვ.2

რომ [30]„ჩვენგან არის ბევრად დამოკიდებული იქნება თუ არა ჩვენი ცხოვრება ისევე მშვენიერი და მომხიბლავი, როგორც მშვენიერი და მომხიბლავი არის ჩვენი ქვეყნის ბუნება, თუ ჩვენი, ასე ვსთქვათ, ზარმაცი გონებისა და ტლანქი ხელების შეხებით რამდენიმე საუკუნით დავამახინჯებთ მშრომელ საქართველოს სხეულს, მის მშვენიერ სახეს?!“

შენგელაიას თქმით, კონსტიტუციაში უნდა იყოს ასახული დიდი რევოლუციის აღმაფრენა, პროლეტარისა და მიწის მუშის გამარჯვება, რაც სრულებით არ იყო ასახული სოციალ-დემოკრატთა პროექტში და იგი დაუმსახურებელ პატივს მიაგებდა ბურჟუაზიას. კონსტიტუციასთან დაკავშირებით ლეო შენგელაია ერთ შესანიშნავ ფრაზას ამბობს: [31]„ასე სთქვეს: კონსტიტუცია ერის ტანისამოსი არისო. თუ ეს ასეა, თუ ეს მართალია, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს ტანისამოსი ჩვენ უნდა შევუკეროთ ისეთ ადამიანს, რომელიც მომწიფდა თავისუფალი ცხოვრებისთვის, მაგრამ ყოველ წუთით იზრდება, მაშასადამე, აქ ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არამარტო იმ საკითხს: მოერგება თუ არა ეს ტანისამოსი ჩვენს ერს დღეს, არამედ ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკითხს: გამოადგება თუ არა ეს ტანისამოსი ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას ხვალ, ზეგ, ოცი და ოცდაათი წლის შემდეგ?!

აი, როგორ შორსმჭვრეტელურად წარმოადგინა თავისი მოსაზრება ესერთა პარტიის თავმჯდომარემ, პროფესიონალმა იურისტმა თავის გამოსვლაში და მკაფიოდ წარმოადგინა ის უპირატესობა კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ჰქონდა ესერთა პარტიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროექტზე.(რათქმაუნდა, ეს სუბიექტური მოსაზრებაა. ასე ფიქრობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.) [32]„ჩვენ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერებს გვინდა, რომ ჩვენი კონსტიტუცია - ჩვენი ერის ტანისამოსი შეკერილ იქნეს მეოცე საუკუნის რევოლუციონურ სოციალისტურ ფასონზე, სოციალ-დემოკრატიას კი სურს შეკეროს იგი მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიულ ფასონზე.“

---

[30] საქართველოს კონსტიტუცია - გაზეთი „შრომა“, 1920, N – 20, გვ.3
[31] საქართველოს კონსტიტუცია - გაზეთი „შრომა“, 1920, N – 20, გვ.3
[32] იქვე

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ოფიციალურ განცხადებით, მენშევიკების ხელისუფლება(მენშევიკური კონსტიტუციის) ამ კონსტიტუციის მიღებით აკანონებდა შიმშილობას, სიცივეს, ბურჟუაზიის ბატონობას და სპეკულიანტობას, ზღაპრულ თვითნებობას ადმინისტრაციაში და მოხელეთა მექრთამეობას, სახალხო ქონების განიავებას და ეკონომიკურ კატასტროფას. ამის საპირისპიროდა კი ესერები თავიანთი კონსტიტუციის პროექტით მნიშვნელოვნად პასუხობდნენ მშრომელი გლეხობის გასაჭირს და ხელს უწყობდნენ ქვეყანაში ნამდვილი სოციალისტური სისტემის დამყარებას. მოდით ახლა სწორედ ამ უკანასკნელთა პროექტს შევეხოთ. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ(ლეო შენგელაი, ილია ნუცუბიძე, ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, ივანე ლორთქიფანიძე) პროექტი ოფიციალურად წარადგინა 1921 წლის 23 იანვარს. კონსტიტუცია შედგებოდა 18 თავისგან და 132 მუხლისგან. ჩვენ აქ შევეხებით ესერთა კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომელშიც ნათლად ჩანს ამ უკანასკნელის ხასიათი და შინაარსი. პირველ თავში წარმოდგენილია ზოგადი დებულებები, რომლის პირველი მუხლის თანახმად, საქართველ ცხადდებოდა შრომის რესპუბლიკად. მეორე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკა დაუნდობლად შეებრძოლებოდა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყველა ფორმას: იქნებოდა ეს კლასობრივი, რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური. მესამე მუხლი - სახელმწიფოებრივი ძალაუფლება საქართველოში ეკუთვნის მთელ ერს, ამ ძალაუფლებას ის ახორციელებს თვითონ უშუალოდ, ან მის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული სისტემით არჩეული ორგანოების მიერ. მეოთხე მუხლით - საქართველოს სახელმწიფოებრივ ენად აცხადებდნენ ქართულ ენას. მეხუთე - მუხლით საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია. მეექვსე მუხლით - ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითი წესით. მეორე თავი შეეხებოდა მოქალაქეობას, რომლის მიხედვითაც (მე-8 მუხლი) საქართველოს მოქალაქედ ითვლება ყველა: ა) ვინც ამ კონსტიტუციის მიღებამდე, უკანასკნელი ორი წლის განმავლობასი განუწვეტლივ ცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუკი ის ერთი თვის განმავლობაში

დღიდან ამ კონსტიტუციის მიღებისა არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და ბ)ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას. მე-11 მუხლით ყოველი მოქალაქე სარგებლობს: სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, მიმოსვლისა და ბინადრობის სრული თავისუფლებით. აქ არის აგრეთვე ერთი საინტერესო მუხლი, რომელიც ესერებმა შეიტანეს თავიანთ პროექტში, რომლის თანახმადაც (13) დამნაშავეთა დაკავება შეუძლია ყოველ მოქალაქეს, თუ ბოროტმოქმედს დანაშაულის ადგილას მიუსწრებს(სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკების პროექტშიც იყო აღნიშნული მუხლი.). აგრეთვე მნიშვნელოვანია 22-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ აკრძალულია უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე. პროექტი აუქმებდა მოქალაქეებს შორის წოდებრივ განსხვავებას. აღნიშვნის ღირსია 25-ე მუხლი, რომლის თანახმადაც მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისმგებლობაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულითვის; მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს. კონსტიტუციის მეოთხე თავში ნიშანდობლივია, 30-ე მუხლი - მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისმგებლობაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისთვის; მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს. მეხუთე თავში ჩვენს ყურადღებას იპყრობს 53-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი და იგივე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ არ შეიძლება. სოციალისტ-რევოლუციონერთა კონსტიტუციაში ცალკე თავი ეთმობა სასამართლო სისტემას. პროექტში აღნიშნულია, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს; სასამართლოს წევრი დათხოვნა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით; სასამართლო უფასოა. ესერები ეხებიან ამასთანავე ფინანსურ სფეროსაც. ისინი აუქმებენ არაპირდაპირ გადასახადებს ყველა საგანზე გარდა ფუფუნების საგნებისა. გარდა ამისა, მოსახლეობის ღარიბი ნაწილი სრულიად თავისუფლდება გადასახადებისგან. უნდა ვახსენოთ აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღნიშნულ პროექტში. ესერები აუქმებენ მუდმივ ჯარს და რესპუბლიკის ძირითადი

შეიარაღებული ძალის ფუნქციას სახალხო მილიცია იტვირთებს. ყველა მოქალაქისთვის ვალდებულებას წარმოადგენდა სახალხო მილიციისთვის ბეგარის გადახდა. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, კანონით ეს უკანასკნელი ხდებოდა შრომის რესპუბლიკის ფუძე, ენიჭებოდა უფლებამოსილება თვითმმართველობისა და მმართველობის საქმეების გამგებლობისა, აგრეთვე მის მოვალეობას წარმოადგენდა მეურნეობის ფართო და აქტიური განსაზოგადოებრიობის პრინციპების საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში განხორციელება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ცალკე კანონით. ესერთა კონსტიტუციის პროექტის მე-10 თავში, რომელის ეხებოდა სწავლა-განათლების საკითხს, ნათქვამია, რომ სკოლის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას რესპუბლიკა თვლის პიროვნების სრული განთავისუფლების აუცილებელ პირობად. მეცნიერება და ხელოვნება სახელმწიფოს ზრუნვის უპირველესი საგანი ხდებოდა. პროექტის ავტორთა თქმით, სწავლა ყველა საფეხურზე უფასო და საერო უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, პირველი და უმაღლესი დაწყებითი სწავლა საყოველთაო და სავალდებულო ხდებოდა. ამასთანავე, ეკონომიკურად შეჭირვებულ მოსწავლეებს სახელმწიფო უზრუნველყოფდა სხვადასხვა სახის სასწავლო ნივთით. სკოლა უნდა ყოფილიყო მთლიანად შრომის პრინციპზე აგებული. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა შრომის საბოლოო განთავისუფლება სახელმწიფოს მწყობრი სისტემატიური სოციალიზმის საფუძველზე. გარდა ამისა, შრომის რესპუბლიკა ვალდებულებას იღებდა სხვადასხვა სახის ნივთით უზრუნველეყო შრომის უნარს მოკლებულნი. გარდა ამისა, ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 12 საათს; პროექტი კრძალავდა წარმოებაში 16 წლამდე პირის შრომას; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრებოდა დღეში 6 საათით. მოზარდთა და ქალთა მუშაობა ღამით აიკრძალა. ამ უკანასკნელებს წარმოებაში სპეციალური კანონი იცავდათ, რომლის თანახმადაც ქალის მუშაობა დედობისთვის მავნე წარმოებაში არ შეიძლებოდა. მუშა ქალი მშობიარობის დროს არანაკლებ ორი თვით თავისუფლდებოდა

სამუშაოსგან, ისე რომ ხელფასი უნარჩუნდებოდა. ყველა სახლი და შენობა რომელიც ქვეყნის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ერის კუთვნილებად გამოცხადდა და გადავიდოდა რესპუბლიკის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში, რასაც ბანკების და ყველა საკრედიტო დაწესებულების გადასვლაც დაემატა სახელმწიფოს ხელში. მე-12 თავი ეთმობოდა მიწის საკითხს,(უფრო ვრცლად აგრარულ საკითხზე საუბარი ცალკე თავში გვექნება) სადაც სოციალისტ-რევოლუციონერები ამბობდნენ, რომ ქვეყნის ტეროტორიაზე არსებული ყველა მიწა, ტყე და წყალი და აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიწის წიაღში იყო, შეადგენდა ამდროიდან სამუდამოდ ხალხის საერთო ავლადიდებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ყველაფერზე ყველა მოქალაქეს ჰქონდა თანასწორი უფლება. რაც მთავარია მათზე უმაღლესი გამგებლობის უფლება უნდა ჰქონოდა საკანონმდებლო ორგანოს, ხოლო ადგილობრივი გამგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობას, თითოეულს თავისი ტერიტორიის ფარგლებში. პროექტში ცალკე თავად იყო წარმოდგენილი ჯანდაცვის საკითხები. რესპუბლიკა ვალდებულია: ა)აღმოუჩინოს მოქალაქეებს უფასო სამედიცინო დახმარება; ბ)მოაწყოს უფასო სანატორიუმები; გ)აწარმოოს ფართო ბრძოლა ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ; მნიშვნელოვანი იყო ეროვნული უმცირესობის მიმართებით ესერთა პოზიციაც. ისინი ამბობდნენ, რომ ეროვნულ უმცირესობას ჰქონდა უფლება შეენარჩუნებინა საკუთარი თავისებურებები და თავისი ინდივიდუალობის პროგრესული მხარეები განევითარებინა. სახელმწიფოში გარანტირებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ერთა თანასწორობა. მათი აზრით, ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლის მშობლიურ ენაზე. ჩემი მოკრძალებული აზრით, თუ მოსწავლე ეროვნულ/სახელმწიფო სკოლაში სწავლობს, ასეთ შემთხვევაში სწავლება უნდა მიმდინარეობდეს იმ ქვეყნის ენაზე, რომელშის ის ცხოვრობს. სხვა საკითხია თუ სკოლა ფუნქციონირებს თვითდაფინანსებით. ასეთ დროს სკოლის სტრუქტურასა და პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს დამფინანსებელი, თუმცა უნდა იყოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემასთან გარკვეულ თანხვედრაში. ვფიქრობთ, რომ ეროვნული უმცორესობების სკოლებში სწავლების წარმართვას სახელმწიფო ენის საშუალებით უფრო გაამარტივებს და

ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელთა სწრაფ და უმტკივნეულო ინტეგრაციას იმ ქვეყნის საზოგადოებაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. (რათქმაუნდა, დაუშვებელია მათი ეროვნული თავისებურებების ხელყოფის საშუალებით ამის გაკეთება.) ნიშანდობლივია ისიც, რომ ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქის 20%-ს, ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შესაძლებელია სახელმწიფო ენასთან ერთად მის მშობლიურ ენაზეც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საკმაოდ გამართულ და სამართლიან კანონპროექტს წარმოადგენს, რამეთუ სრულად იცავს ეროვნულ უმცირესობათა შესაძლო მისწრაფებებს. ესერთა კონსტიტუციის პროექტითაც ავტონომია ენიჭებოდათ აფხაზეთს, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალას. აღნიშვნის ღირსია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებაც, მათი აზრით ეს ორი ინსტიტუცია აუცილებლად უნდა იყოს განცალკევებული. გარდა ამისა, არცერთ სარწმუნოებას არ უნდა ჰქონდეს ერთმანეთზე უპირატესობა. სახელმწიფო სიმბოლიკას რაც შეეხება, რესპუბლიკის დროშა უნდა ყოფილიყო წითელი, იისფერი წარწერით: საქართველოს შრომის რესპუბლიკა, გერბი კი წმინდა გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე.

ასეთი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა კონსტიტუციის პროექტი, რომლის ძირითად მუხლებსაც ჩვენ ზემოთ გავეცანით. ალბათ, გასაკვირი არ ყოფილა, რომ აღნიშნული პროექტი დამფუძნებელ კრებაში „ჩავარდა“, რაც ამ ორგანოში დეპუატატთა გადანაწილებით აიხსნება. მთავარი და ფუნდამენტური განსხვავება, რაც მმართველი პარტიისა და ესერთა კონსტიტუციის პროექტებში იყო, ისაა რომ მენშევიკური კონსტიტუცით ყალიბდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო ესერული კონსტიტუციით საქართველოს შრომის რესპუბლიკა(როგორც თვითონ ამბობდნენ აისახებოდა რევოლუციური გამარჯვების შედეგად მიღებული აღმაფრენა.) ანუ კიდევ ერთხელ როგორც ვნახეთ, მათ აბსოლუტურად სხვადასხვანაირად ესმოდათ სახელმწიფოს

მშენებლობისა და განვითარების პროცესი. ესერული კონსტიტუციური პროექტი იყო წმინდა წყლის სოციალისტურ საწყისებზე აგებული, ხოლო მენშევიკთა კონსტიტუციას დემოკრატიული ფუნდამენტი ჰქონდა. საბოლოო ჯამში სოციალ-დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღეს 1921 წლის 21 თებერვალს დაჩქარებული წესით (საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის გამო), სულ რაღაც 4 დღეში კი ქვეყანა „გაწითლდა“.

თავი მეხუთე

ესერები და ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოში წარმოადგენდა მეოთხე პოლიტიკურ ძალას. (სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების შემდეგ.) გახლდათ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი პოლიტიკური პარტია, რომელსაც თავისი ამომრჩეველი ჰყავდა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ესერთა იდეებმა გავრცელება და განვითარება ვერ ჰპოვა. ეს ის პერიოდია როცა საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის უმთავრესს წარმოადგენდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და ყველა სხვა საკითხი ამ პერიოდში მეორეხარისხოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ესერთა ერთ-ერთი მიზანიც ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება იყო, პირველ რიგში მაინც ამ საკითხს ისინი სოციალური საკითხების კონტექსტში განიხილავდნენ. მათი უპირველესი ამოცანა საქართველოში სოციალიზმის დამყარება იყო. ჩვენი აზრით, ისინი ხალხისთვის არაპოპულარულ ენაზე მეტყველებდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ქართულ საზოგადოებას აღელვებდა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ასეთ პირობებში კი სოციალიზმზე საუბარი არამომგებიანი იყო. სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოკიდებულება ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ უკიდურესად ნეგატიური იყო. 1918 წლიდან ისინი მკაცრად აკრიტიკებენ ფედერალისტებს და მთავრობასთან გარიგებაშიც კი დაადანაშაულეს. [33]„დღეს ფედერალისტები და სოც.დემ მენშევიკები ერთათ არიან და შეთანხმებულათ მუშაობენ.“ ასეთი მდგომარეობა არ ყოფილა როგორც ჩანს, მათთვის გასაკვირი, ვინაიდან სტატიის ავტორის (Rebus) თქმით, ესერები კარგად იცნობენ ფედერალისტთა ბუნებას. თუ 1904-05

[33] ფედერალისტები და სოც. დემოკრატები - გაზეთი „შრომა“, 6 აგვისტო, 1918, N – 3,გვ. 1

წლებში ფედერალისტთა პარტია კლასობრივ საფუძველზე დგას, [34]„რეაქციის გამეფების შემდეგ მათ უმალ შეიცვალეს თავისი სამოსელი, დაივიწყეს კლასთა ბრძოლის იდეა და დაიწყეს ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოლიტიკის წარმოება.“ ავტორი ახსენებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ჰქონდათ მათ რევოლუციამდე, იქნებოდა ეს სათავადაზნაურო კომისიების დაარსება, რომელსაც უნდა შეესყიდა მიწები, რათა უცხოელთა ხელში არ გადასულიყო, თუ პირდაპირი მოთხოვნა მიწის სოციალიზაციისა, მაგრამ „ეს მოთხოვნა არ ყოფილა გულწრფელი. ჩვენ ყოველთვის ვიყავით დარწმუნებული, და ეხლაც მით უმეტეს, რომ ფედერალისტების პარტია არის შემოკრებილი ერთი ლოზუნგის გარშემოც - ეს არის ეროვნული საკითხი. სოციალისტ-რევოლუციონერთა პოლიტიკაში კი უმთავრესი ადგილი ეჭირა სოციალურ-ეკონომიკურ კონცეფციას. მათი თქმით, ამიტომაც არის რომ ფედერალისტები ყველა საკითხში მხარს უჭერენ მენშევიკებს.(ვინაიდან იდენტური შეხედულება ჰქონდათ ეროვნულ საკითხზე). ესერთა მხრიდან კრიტიკის ობიექტია არამხოლოდ ფედერალისტთა პარტია, არამედ ეროვნულ-დემოკრატებსაც ალმაცერად უყურებენ ისინი. როგორც ვახსენეთ, ესერთათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მიწის საკითხი წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კი ეროვნულ-დემოკრატთათვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. აქ კი ისინი მიწის კერძო მესაკუთრეობის მომხრენი იყვნენ, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა ესერებთან. ისინი რამდენადმე ირონიულ შეფასებას აძლევენ ეროვნულ-დემოკრატთა დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ [35]„ეროვნულ-დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის საკუთრების დამცველთ არ სურთ ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა, ამიტომ მათი საადგილმამულო პროგრამა მიმართულია არა იქითკენ, რომ სიღარიბე და სიღატაკე მოვსპოთ, არამედ მიმართულია იქითკენ, რომ განმტკიცდეს არსებული ქონებრივი უთანასწორობა, რომ ძველებურად დარჩენ ერთის მხრით ღარიბ-ღატაკნი, ხოლო მეორეს მხრით მდიდარნი და კმაყოფილნი. ესერები კი მიიჩნევენ, რომ ქონებივ ურთიერთობაში მაშინ იქნება სრული თავისუფლება, როცა მას

[34] იქვე

[35] გაზ. შრომა, 1918წ. N -10, გვ. 1, სათაური ეროვნულ დემოკრატები და სოფელი, ავტორი - „სოფლელი“

საფუძვლად დაედება ქონებრივი თანასწორობა. ეროვნულ-დემოკრატები მიიჩნევდნენ, რომ სახლემწიფო ხაზინას უნდა გამოესყიდა მიწა, რომელიც უნდა დაერიგებინათ წვრილი მესაკუთრეებისთვის კერძო საკუთრებად. სოციალისტ-რევოლუციონერების თქმით კი ხაზინა უშუალო კავშირშია მშრომელი ხალხის ქონებასთან და ცხოვრებასთან, ანუ ხაზინის ფული ხალხის ფულია [36]„მაშასადამე, როდესაც ეროვნულ-დემოკრატები ამბობენ მიწა ხაზინამ გამოისყიდოსო, ეს იგივეა, რომ ვსთქვათ გლეხებმა მიწა თავის ფულით იყიდონ. ეროვნულ-დემოკრატები, იმას კი არ ეუბნებიან გლეხებს, რომ ხაზინის მიერ მიღებული ფულები მათი პროცენტებით ისევ გადახდება სოფლის მუშებს!..“ ესერები პირდაპირ ადანაშაულებენ ეროვნულ-დემოკრატებს მდიდარი და შეძლებული კლასების ინტერესების დაცვაში და ხელის შეწყობაში ბურჟუაზიული სისტემისთვის, ფიქრობენ რომ შეცდომაში შეჰყავთ მშრომელი მასები [37]„მათ მხარს უჭერს მხოლოდ ქალაქის მეშჩანობა და ვაჭარ-სპეკულიანტთა გროვა.“ ეს მოცემულობა ნათლად დადასტურდა საერობო არჩევნების დროს, როდესა ეროვნულ-დემოკრატებმა სოფლად ხმათა მინიმალური რაოდენობა მიიღეს, რამაც გარკვეულწილად „შრომისტების“ ნარატივი გაამართლა. ესერთა პარტია აკრიტიკებდა ეროვნულ-დემოკრატებს არამარტო აგრარულ საკითხში, არამედ ამბობდა რომ მათი მიზანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა, ადანაშაულებდნენ კონტრევოლუციონურ მოღვაწეობაში. [38]„ხალხი, მათი აზრით, ჯერ კიდევ არ არის ასეთი თავისუფლებისთვის მომწიფებული, მისთვის ჯერ კიდევ საჭიროა მათრახი, ვინც ასეთი აზრის წინააღმდეგ გაილაშქრებს ეროვნულ-დემოკრატების აზრით, მათ არ შეუძლიათ სახელმწიფო განაგონ, რადგან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მათ აქვთ წარმოდგენილი მხოლოდ ხალხის დატუქსვით, შიშითა და თავზარდაცემით. ესერები მათ ნაციონალისტობაში სდებენ ბრალს და აცხადებენ, რომ ისინ სთესენ შუღლს საქართველოს რესპუბლიკასა და უცხო სახელმწიფოებს შორის. სოციალისტ-რევოლუციონერი „სოფლელი“-ის აზრით, ეროვნულ-

[36] „სოფლელი“. ეროვნულ-დემოკრატები და სოფელი. გაზეთი „შრომა“ – 1918, N – 13, გვ.1
[37] „სოფლელი“. ეროვნულ-დემოკრატები და სოფელი. გაზეთი „შრომა“ – 1918, N – 21 გვ. 1
[38] „სოფლელი“. ეროვნულ-დემოკრატები და სოფელი. გაზეთი - „შრომა“, 1918, N – 23, გვ.1

დემოკრატები ემყარება[39] „ორ სოციალურ ჯგუფს - ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ, პირველი ამათგანი ისტორიამ უკვე განწირა უკვე მისი მომავალი მხოლოდ სიკვდილია, ხოლო მეორე ჯერ კიდევ აკვნიდან არ ამოსულა, ამით აიხსნება, რომ ეს პარტია ჩვენში არსებულ ყველა პარტიებზე უსუსურია, უბადრუკია.“ სოციალისტ-რევოლუციონერებს არ ავიწყდებათ მთავრობის კრიტიკაც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანაბარი ხარისხით აკრიტიკებენ ოპოზიციისა და მთავრობის წარმომადენლებს, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, ჩავთვალოთ ისინი განყენებულ პარტიად. ინტერესის ის სფეროები, რომელთაც ესერთა პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობოდათ მარტივად, რომ ვთქვათ არ წარმოადენდა იმდროინდელი საზოგადოების ძირითადი ყურადღების საგანს და სხვა პოლიტიკური პარტიებისთვისაც ამ მომენტისთვის(როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის მხრიდან) მეორეხარისხოვანი იყო ყველა საკითხი, გარდა ეროვნულისა. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ აღნიშნული საკითხი არ აღელვებდათ ესერებს, უბრალოდ მათი უპირველესი საზრუნავი იყო მშრომელი გლეხობა და მუშები, სოციალური საკითხები. სწორედ ამ კუთხიდან უყურებდნენ ისინი ეროვნულ თემატიკას დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, მოგვიანებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ესერის შეხედულებებმა განიცადა ფორმირება და მასში უპირატესი აღმოჩნდა ეროვნული საკითხი, რაც განპირობებული იყო საბჭოთა ოკუპაციით, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში კი ისინი უფრო კოსმოპოლიტური პოზიციებიდან უყურებენ რეალობას. მაგალითად, ისინი აკრიტიკებენ ნოე ჟორდანიას 1918 წლის 20 ნოემბრის გამოსვლას მუშათა საბჭოს სხდომაზე, რომელმაც ასეთი რამ განაცხადა: [40]„ჩვენ ცენტრალიზაციის მომხრენი ვიყავით, ეროვნულ საფუძველზე სახელმწიფოს მოწყობას უარვყოფდით, მაგრამ ცხოვრება ჩვენი აზრის და შეხედულების წინააღმდე წავიდა და დღეს ჩვენ ვხედავთ ყველგან, ყველა ქვეყნებში ძლიერ ლტოლვას ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნისადმი.“ აქედან ის შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ შემთვევაში კონკრეტული სოციალისტ-რევოლუციონერი ავტორის

[39] „სოფლელი“. ეროვნულ-დემოკრატები და სოფელი. გაზეთი - „შრომა“, 1918, N – 28, გვ. 2

[40] დილიანი. ჩვენი მენშევიკები და ცხოვრების სინამდვილე - გაზეთი „შრომა“, 1918, N – 84, გვ.1-2

პოზიცია, შეხედულება კოსმოპოლიტურია და უფრო მეტიცა ადანაშაულებს ის ნოე ჟორდანიას ამ შეხედულების ღალატში, მას უპირობოდ ეს გზა მიაჩნია ჭეშმარიტ გზად. თავის მხრივ, როგორც დავინახეთ, ჟორდანიაც გარკვეულწილად თავის მართლების რეჟიმშია. მისი თქმით, ასეთია საზოგადოებრივი მდომარეობა, ისიც ზემოაღნიშნული შეხედულების მატარებელი გახლდათ, თუმცა როორც ჩანს არსებული მდომარეობიდან გამომდინარე შეეცვალა მას ეს აზრი. გარდა ამისა, ესერები საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებენ მენშევიკებს. მათი აზრით, რევოლუციის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც გულისხმობდა სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, მენშევიკებმა უკუაგდეს. ამბობდნენ, პრესის დევნაში საქართველოს რესპუბლიკამ გაასწრო რუსეთის დესპოტიასო. ადანაშაულებდნენ აგრეთვე პიროვნების ხელუხლებლობის პრინციპის დარღვევაში [41]„არასოდეს მგონი, არ ყოფილა პრაქტიკაში ასე ფართოდ წარმოებული სისტემა ადმინისტრატიულ დაპატიმრებათა, გაჩხრეკისა და სხვ. როორც ეს არის თავისუფალ საქართველოშიო.“ როგორც ვიცით, საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნები შედგა 1919 წლის 14-17 თებერვალს. არჩევნებში სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად მონაწილეობდა ქართველ ესერთა პარტია, რომლებიც აღნიშნულ არჩევნებში თავიანთ უმთავრეს კონკურენტად მიიჩნევდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამიტომ წინა საარჩევნოდ მუდმივად სწარმოებდა ბრძოლა მენშევიკთა წინააღმდეგ. ესერები ამბობდნენ: [42]„მშრომელ ხალხს, რევოლუციონურ გლეხობას და პროლეტარიატს უნდა ახსოვდეს, რომ სოციალ-დემ. გამარჯვება ამ არჩევნებში პირველი ნიშანი იქნება მისი, რომ ჩვენს მშრომელ ხალხში მართლაც მინელდა და ჩაჰქრა რევოლუციონური სული და ენერგია.“ ამასთანავე ესერთა აზრით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ეროვნულ დემოკრატებს ნიადაგი გამოაცალეს, ვინაიდან ამ უკანასკნელთა მიზანი ბურჟუაზიის გაძლიერება იყო, აღნიშნული პროცესი კი რეალობაში სოციალ-დემოკრატებს მოჰყავდათ, რაც ეროვნ.-დემოკრატებს თავისი არსებობის საფუძველს აცლიდა. აქ მოხდა ასე ვთქვათ, პირველი ფარული დაპირისპირება ამ ორ დიდ პარტიას

[41] რას ამბობენ სოციალ-დემოკრატები ჩვენი წესწყობილების შესახებ - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 2, გვ.1

[42] „ნაღმი“. სოციალ-დემოკრატია და დამფუძნებელი კრების არჩევნები - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 31, გვ.2

შორის, რასაც ესერები დადებითად აფასებენ და ფიქრობდნენ, რომ ამ პროცესებს შეიძლებოდა მათი პარტიის წინა რიგებში გადაწევა გამოეწვია. ამიტომ [43]„რაც უმტკივნეულოდ ჩატარდება მენშევიკების ბატონობის ლიკვიდაცია, მით უკეთესი იქნება მშრომელი ხალხისთვის.“ ახლა მოდით კვლავ დავუბრუნდეთ ფედერალისტებისა და მენშევიკების ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც რეაქციის ხანაში, როგორც ჩანს საკმაოდ „მეგობრული“. ცნობილია, რომ სამსონ ფირცხალავამ და აკაკი პაპავამ თავიანთ „გამოსვლებში“ გაზ. „სახალხო საქმის“-ს ფურცლებზე პირდაპირ აღიარეს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველობა და აღნიშნეს, რომ ამ მომენტისთვის სხვა ვერც ერთი პარტია ვერ შეასრულებდა გადამწყვეტ როლს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამომდინარე ამ და კიდევ სხვა მოვლენებიდა სოციალისტ-რევოლუციონერები სამ თეზისად აყალიბებენ ფედერალისტთა მიმართ დამოკიდებულებას:[44] „1)ფედერალისტებს არასოდეს არ ჰქონდათ გარკვეული გეზი, 2)ფედერალისტები ყოველთვის ქართველი ნაციონალისტები იყვნენ და 3)ფედერალისტები ყოველთვის ეარშიყებოდნენ იმათ, ვისაც სახელმწიფოს ძალა უფლება ხელუპყრია.“ აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ესერებს არ აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება არჩილ ჯორჯაძის მიმართ. მათი თქმით, ამ უკანასკნელის პიროვნებამ ცვლილება განიცადა, რამეთუ თავიდან ის იყო ნაციონალისტი, რომელსაც სხვა ფედერალისტებისგან განსხვავებით არც მალავდა, თუმცა შემდგომ, როგორც ესერები მიუთითებენ ჯორჯაძემ მიიღო მიწის სოციალიზაცია და[45] „1907 წელში კი ის უკვე სინდიკალისტთა „ბურჟუაზიულ ფეოდალიზმს“, რომელსაც თვითონ ჩაუყარა საფუძველი, სასტიკად ებრძოდა.“ გარდა ამისა, ქართველი ესერების კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახლადგამეფებული ბიუროკრატიზმი, რამაც მენშევიკური მთავრობის პირობებში მოიკიდა ფეხი. [46]„ამბობენ, რომ ძველად მინისტრების ნახვა და მათგან

[43] „რებუსი“. რევოლუცია და მენშევიკები - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 56, გვ.2
[44] „სანერი“. ქართველი ფედერალისტები - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 10, გვ.2
[45] იქვე
[46] „ფოლადი“. სოციალ-დემოკრატიული ბიუროკრატია - გაზეთი „შრომა“, 1919, N – 17, გვ.3

საწირო პასუხების მიღება გაცილებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე დღევანდელი ჩვენი მინისტერების ნახვა და მათგან რაიმე გარკვეული პასუხის მიღება.“ როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა იმდენად მასშტაბური და მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ გაზ. „ერთობაც“ კი მიუთითებს ამ მავნე სისტემაზე. გარდა პოლიტიკური პარტიებისა, აშკარაა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ნეგატიური დამოკიდებულება პირადა ნოე ჟორდანიას მიმართ, რომლის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნას ისინი მტრულად შეხვდნენ და აღნიშნეს: [47]„სოციალ-დემოკრატიის ლოცვა კურთხევითა და პირდაპირი წინადადებით ტახტზე ავიდა... „ნოე პირველი“.

ამრიგად, ჩვენ კარგად დავინახეთ თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერებს სხვა ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ და ნათლად გამოჩნდა, რომ პრაქტიკულად სხვა მხარეს იყვნენ ისინი.

[47] სოციალ-დემოკრატიული მონარქია - გაზეთი „შრომა“, 1920, N -2, გვ.1

თავი მეექვსე

ესერები და სომეხი დაშნაკები

ქართველ ესერებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ სომეხ დაშნაკებთან(დაშნაკცუთიუნის პარტია შეიქმნა 1890 წელს ქრისტაფორ მიქაელიანის, სტეფან ზორიანისა და სიმონ ზავარიანის მიერ ტფილისში) , რომლებიც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ნაციონალისტურ-შოვინისტურ პარტიად მიიჩნევდნენ. თუმცა მათ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო სომეხი ერის მიმართ, პირიქით ისინი ამ პერიოდში(1918წ.) სრულ მხარდაჭერას უცხადებენ სომხეთს, რომელსაც მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდა ოსმალეთისგან. [48]„ამ ბოლო დროს ადგილობრივი გაზეთები დაჟინებით სწერენ, რომ ოსმალეთის მთავრობას პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს სომხეთის რესპუბლიკას დროებით ოკუპაცია უყოს და ამ მრავალ-ტანჯულ ხალხს ის მცირე თვითგამორკვევის უფლებაც კი წაართვას, რომლითაც მცირე ტერიტორიაზე დარჩენილი, ის ამჟამათ სარგებლობს.“ ასეთ ვითარებაში კი ესერთა აზრით, სომეხი ნაციონალ-შოვინისტები, არ იჯერებენ არსებულ საფრთხეს და ქართველ და სომეხ ერს შორის შუღლსა და სიძულვილს სთესავენ. გასათვალისწინებელია, რომ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები დიდ ყურადღებას უთმობენ სომხეთის საკითხებს, ეს იქიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზ. „შრომის“(1918-21წწ.) ნომრებში ცალკე ადგილი ეთმობა სომხური პრესის განხილვას. პრაქტიკულად დეტალურად იხილავენ გაზეთ „მშაკის“ ყველა ნომერს, რომელიც კი გამოდიოდა 1920 წლამდე. სოციალისტ-რევოლუციონერები პირდაპირ ადანაშაულებენ დაშნაკებს ორმაგი პოლიტიკის გატარებაში. ამასთანავე ესერთა პრესის ორგანო მკაფიოდ აშუქებს იმ ინციდენტს, რომელიც მოხდა 1918 წლის 21 ოქტომბერს, რომლითაც დასტურდებოდა რომ თბილისში მანთაშევის ქარვასლაში სომხეთის მთავრობა ინახავდა

[48] პრესა - გაზეთი „შრომა“, 1918, N – 18, გვ.1

ტყვია-წამალსა და ზარბაზანს, რაც დაუშვებელია. გამომდინარე აქედან ისინი ბრალს სდებენ დაშნაკებს მოღალატეობრივ საქმიანობაში და მთავრობას კი რეაგირების არ ქონაში. უფრო მეტიც ამ უკანასკნელებმა ფაქტიც კი ვერ დაადასტურეს. თბილისის ქალაქის თავის ნ. ელიავას განმარტებით, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და იქ არავითარი ტყვია-წამალი არ იყო, პრესის ორგანო კი პირდაპირ მიუთითებდა ქარვასლაში სამხედრო შეიარაღების არსებობაზე. აღნიშნული ჩვენებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ესერები მთავრობას უნიათობაში ადანაშაულებდნენ, თუმცა ისინი უფრო გაზ. „ერთობის“ აზრის გამზიარებლები იყვნენ, ამიტომაც ისინი დაშნაკებს ერთგვარ საბოტაჟშიც კი სდებდნენ ბრალს. როგორც ვიცით, 1918 წლის დეკემბერში სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობდა სამხედრო მოქმედებები, რომელსაც საფუძველი უფრო ადრე ჩაეყარა. ჯერ კიდევ ოქტომბრიდან იწყებენ სომხები საქართველოს საზღვრების დაზვერვას და სოციალისტ-რევოლუციონერთა აზრით, უკვე ნათლად ჩანდა რომ ავანტიურისტული ქმედებები იყო მოსალოდნელი მხარეებიდან. აღსანიშნავია, რომ სომხეთის მთავრობის მიერ საზღვრების საკითხის მოგვარებას სამხედრო მოქმედებების გზით მხარი არ დაუჭირა სომეხთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა [49]„ჩვენ, გორელი სომხები, ღრმა გაკვირვებას გამოვსთქვათ იმის გამო, რომ სომხეთის მთავრობამ საქართველოსთან საზღვრების საკითხის გადაჭრა იარაღის საშუალებით განიზრახა. და ამ მოვლენას მაშინ როცა ევროპის ხალხი ყველა სადაო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი გზით ცდილობს, დემოკრატიისთვის დამღუპველად ვსთვლით და გთხოვთ ძმათა შორის სისხლისღვრას ხელი შეუშალოთ.“ დეპეშაზე ხელი მოაწერა 170 კაცმა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველო-სომხეთის ომი 1918 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო. აღნიშნულ მოვლენას ეხმიანება საქართველოს-სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და პარტიული პრესის მეშვეობით საკმაოდ დანანებით აღნიშნავს [50]„სომხები შეეზარდენ ჩვენ ცხოვრებას, მათთან ჩვენ გაბმული გვაქ მჭიდრო კავშირი. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ერთობა რამოდენიმეთ შეირყა, ორივე ერის დემოკრატიას, მშრომელ ხალხს

[49] საქართველოს და სომხეთის დამოუკიდებლობის გარშემო - გაზეთი „შრომა“, 1918, N – 66, გვ.4
[50] „ანკანი“. ბრძოლა თავისუფლებისთვის - გაზეთი „შრომა“, 1918, N - 109

დიდი გამჭრიახობა, დიდი დაკვირვება დასჭირდება ომის სალიკვიდაციოთ და ძველი ურთიერთობების აღსადგენათ.“ ესერთა პარტია ამ ომის გაჩაღებაში პირდაპირ ადანაშაულებს დაშნაკთა პარტიას და ამბობს: [51]„დღეს ყველასთვის აშკარაა, რომ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის გაჩაღებაში დამნაშავეა მხოლოდ დაშნაკცაკანთა პარტია. ეს პარტია მუდამ ბოროტ სულათ ევლინებოდა სომხის დემოკრატიას, მშრომელ ხალხს.“ ესერთა თქმით, სომხეთის დაშნაკურმა მთავრობა ყურად არ იღო საქართველოს მთავრობის სამართლიანი შეთავაზება კონფერენციის გამართვისა, რომლის მიზანიც უნდა ყოფილიყო სადავო საკითხების განხილვა, ალბათ მათი უპირველესი მიზანი იყო დემოკრატიული საქართველოსთვის ძირის გამოთხრა და ანარქიული მდგომარეობის შექმნა. აქედან გამომდინარე, ესერები ამართლებენ საქართველოს მთავრობის ქმედებებს, რომელიც მათი აზრით თავდაცვითი იყო. თუმცა ომის ნეგატიური შედეგები აშკარა იყო [52]„მას შეუძლია შუღლი ჩათესოს მოძმე ერთა შორის. ამიტომ სომხის დემოკრატია ვალდებულია ყოველივე საშვალება იხმაროს დაშნაკელ-ავანტიურისთა ასალაგმავათ.“ ბრძოლის ველზე დახოცილთა ხსოვნას პარლამენტის ტრიბუნიდან პატივი მიაგო სოციალისტ-რევოლუციონერმა ილია თევზაძემ [53]„ჩვენ არ შეგვიძლია ღრმა მწუხარება არ გამოვსთქვათ მშრომელი ხალხის წინაშე მისი საუკეთესო მებრძოლების უდროვოთ წუთისოფელს გამოსალმების გამო და მასთან იმედიც, რომ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი“. ფაქტობრივად, ქართველი ესერები პოლიტიკურ მოუსავლეთში აგზავნიან დაშნაკებს თავიანთი განცხადებებით. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში ესერები სრულ მხარდაჭერას და თანადგომას უცხადებენ საქართველოს მთავრობას, რამეთუ დაშნაკთა ქმედებებს ისინი სრულიად ამორალურად და ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ [54]„ქართველების მიერ ძმურად გაწვდილ ხელს შოვინისტებმა ტყვიით უპასუხეს...“ სომხეთთან

[51] „ანკანი“. ბრძოლა თავისუფლებისთვის - გაზეთი „შრომა“, 1918, N - 109
[52] იქვე
[53] ბრძოლის ველზე დახოცილების ხსოვნას - გაზეთი „შრომა“, 1918, N - 109
[54] „ანლასი“. სომეხი შოვინისტები სოციალიზმის ქურქში - გაზეთი „შრომა“, 1919, N 4

ომმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობა გაართულა, რასაც ინგლისელების შემოსვლამ შეუწყო ხელი. სოციალისტ-რევოლუციონერთა თქმით, სწორედ სომხებმა შეუწყვეს ხელი ინგლისელებთან ურთიერთობის დაძაბვას, რამეთუ ეს უკანასკნელნი მიზნად ისახავდნენ ქართველთა ავტორიტეტის დაცემას ინგლისელთა თვალში. [55]„ინგლისელებმა პირველ ხანებში თითქოს გაუმართლეს სომხებს იმედები. ისინი ენერგიულად ჩაერივნენ ჩვენ და სომხეთის შორის ამტყდარ დავაში და საჭირო ობიექტივობას ამ საქმეში ვერ იჩენდნენ," რაც მალევე შეიცვალა და ამ უკანასკნელებმა მეტი ანგარიშის გაწევა დაიწყეს ქართული მხარისთვის. პარლამენტის სხდომებზე ფართო დისკუსია მოჰყვა ამ ომს, ერთ-ერთი გამომსვლელი გახლდათ ესერი მიხეილ ჭანიშვილი, რომელმაც სომეხ ნაციონალისტთა ქმედებას მეტად კრიტიკული შეფასება მისცა და საბოლოოდ [56]„ქართველმა ხალხმა ყველას დაანახა ამ ომში ის, რომ მას შეუძლია თავისუფლების დაცვა - ეს დიდი გამარჯვებაა". ესერთა პარტიული პრესა მკაცრად ამხელდა დაშნაკების მიერ გავცელებულ ცრუ ინფორმაციას. ასე ვთქვათ, „საინფორმაციო ომში" იყვნენ ჩაბმული, რომელიც მიმართული იყო სომეხი შოვინისტების წინააღმდეგ, რომ მათ რაიმე არასტაბილური და პანიკური სიტუაცია არ შეექმნათ თავიანთი პრესის მეშვეობით. გაზ. „შრომას" სომხური პრესის ყველა დეზინფორმაცია დეტალურად ჰქონდა გაანალიზებული და სიმართლე დადგენილი. თუნდა „მშაკის" კორესპონდენტის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია თითქოს [57]„სადახლოსთან, რომელიც 2 საათის სასიარულო გზით არის დაშორებული თფილისზე, სომხებმა 3 ათასი ქართველი ტყვე წაიყვანეს. თფილისში აუწერელი პანიკაა." ეს ცრუ ინფორმაცია იყო(დადასტურად შემდგომში როცა მიმდინარეობდა ომის მოვლენების განხილვა სამხედრო საბჭოში), რომელიც მათ სიტუაციის ესკალაციისთვის სჭირდებოდათ. ესეთი და კიდევ სხვა ინფორმაცია ბევრი იყო, რომელთაც ესერთა პრესა დეტალურად იკვლევდა და გამოჰქონდა სააშკარაოზე. გარდა

[55] „დილიანი". დღეს - გაზეთი „შრომა", 1919, N - 5

[56] „მიშელ"(მიხეილ ჭანიშვლი). საქართველოს პარლამენტი - გაზეთი „შრომა", 1919, N - 5

[57]საქართველო-სომხეთის ომი - გაზეთი „შრომა", 1919, N -7

ამისა, მათ აქტიურად გააშუქეს საქართველო-სომხეთის კონფერენცია, რომელიც 1919 წლის 10 იანვარს დაიწყო და მკითხველს სთავაზობდნენ დეტალურ ინფორმაციას. ესერებმა აგრეთვე მხარდაჭერა აღუთქვეს სომეხ-ქართველთა კომისიას, რომელიც შეიქმნა ინგლისელთა ინიციატივით და მას უნდა გამოერკვია იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთა ქმედებებმა გამოიწვია ომის დაწყება. როგორც ჩანს, ქართველი ესერები ბოლომდე ცდილობენ დაშნაკელთა პოლიტიკას თვალი მიადევნონ და ასე ვთქვათ, ერთგვარი მხილების რეჟიმში არიან. ისინი აკრიტიკებენ კონსტანტინოპოლის გაზეთ „Benaissance”-ს, რომლის გამომცემელიც ვინმე აკოფიანია, ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში. აღნიშნული გაზეთი წერს, რომ ქართველები შეიჭრნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რაც მართლაც არასწორ ინფორმაციას წარმოადგენდა.

გამომდინარე დაშნაკთა პოლიტიკიდან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ყოველ ღონეს იყენებდა მათი ორმაგი პოლიტიკის წინააღმდეგ.

თავი მეშვიდე

გამოჩენილი ესერები

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას და მის წევრებს საქართველოში ნაკლებად იცნობენ. ამიტომ აქ შევეცდებით ჩვენ რამდენიმე ქართველი ესერის ბიოგრაფია წარმოვადგინოთ.

ვლადიმერ გობეჩია - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. დაიბადა 1878 წელს ქ. ქუთაისში, ძველი ხალხოსნის პავლე გობეჩიას(აზნაური) ოჯახში. რევოლუციონური მოღვაწეობა დაიწყო სტუდენტობიდან, სწავლობდა ოდესაში იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო ოდესის სოციალისტ-რევოლუციონური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. [58]„ხშირათ ამხანაგი ვალოდია თავის მებრძოლ რაზმში მოღვაწეობის დროს პირისპირ შეხვედრია სიკვდილს, მაგრამ მის აჩრდილს ის ვერ შეუშინებია," აღნიშნავდნენ ესერთა ორგანიზაციაში. 1909-1911წწ-ში .ვ. გობეჩია ბაქოში ცხოვრობდა. ამ პერიოდში ბაქოში ქართულ ენაზე გამოდიოდა პარტიული ორგანო - „მარცვალი", თავის ძმა იოსებთან ერთად, რომელიც ასევე არალეგალურად ცხოვრობდა ქ. ბაქოში, აღნიშნული გაზეთის წევრი იყო ვ. გობეჩია. თავდაპირველად, რუსეთის დროებითი მთავრობის დროს იყო ამიერკავკასიის მე-7 არმიის კომისრის თანაშემწე. შემდგომში სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისარი. იყო ამიერკავკასიის კომისარიატის(1917 წლის 15 ნოემბერს დაიწყო ფუნქციონირება) საზღვაო მინისტრი. გახლდათ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ვლ. გობეჩია იყო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ორიგინალზე ხელმომწერთა(88) შორის. ამასთანავე მასვე მიენდო საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებული ხელოვნების სექციის თავმჯდომარეობა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ვლ. გობეჩია ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მას მეორე

[58]ამხ.ვლ.პ. გობეჩია - გაზეთი „შრომა", 22 დეკემბერი, 1918, N – 106. გვ.2

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ოდესაში ჰქონდა გაზეთი „მეტეორი“. აგრეთვე თანამშრომლობდა არალეგალურ გაზეთ „იუგ“-ში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თანამშრომლობდა რუსულ გაზეთ „რესპუბლიკა“-ში. როგორც ჩანს, თვითონაც აპირებდა საკუთარი გაზეთის გამოცემას, თუმცა არ დასცალდა. 1918 წლის 19 ივნისს იგი მოკლა ნიკოლოზ წულუკიძემ(ხონელი თავადი გახლდათ, რომელიც მანამდე გასამართლებული იყო გაუპატიურებისთვი და მკვლელობისთვის, რის გამოც იყო ციმბირში გადასახლებულიც.). ამ უკანასკნელმა ვლ. გობეჩიას სამი ტყვია ესროლა, მკვლელობას შეესწრო ვლადიმერის ძმა იოსებიც. თვითმხილველთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ სროლამდე ცოტა ხნით ადრე ნ. წულუკიძემ ძმებს სოციალისტები უწოდა, რის გამოც ხალხში გავრცელდა აზრი, რომ მკვლელობას პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად. ვლ. გობეჩია მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა. იოსებ აბაკელიას(ასევე ცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერი, ექიმი) თქმით, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვლადიმერმა თქვა, რომ წულუკიძე არ დაესაჯათ. აღნიშნული მკვლელობა მეტად გახმაურებული გახლდათ მაშინდელ საქართველოში და ესერთა პრესა საკმაოდ აქტიურადაც აშუქებდა სასამართლო პროცესებმა, რომელიც საჯარო იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია და დარბაზში ხალხი ბილეთებით შედიოდა. აღნიშნულ პროცესზე წულუკიძემ უარყო მკვლელობის პოლიტიკური მოტივი. ცნობილია, რომ ვლ. გობეჩიას დედა ბარბალე და და მარიამი ცხოვრობდნენ ნიკოლოზ წულუკიძის(ნაქირავები ჰქონდათ) სახლში, მაგრამ როგორც ჩანს ბ-ნი წულუკიძე(სასამართლოზე განახცადა, რომ მთელი მისი ოჯახი და თვითონაც დაავადებულნი იყვნენ სხვადასხვა სახის ნევროლოგიური დაავადებებით) უკმაყოფილო იყო მათი აქ ცხოვრებით და სთხოვდა ძმებს ვლადიმერს და იოსებს გადაეყვანათ დედა და და მისი სახლიდან.საკარაუდოდ, არ აღმოაჩნდა თმენის უნარი და თვითონ გადაწყიტა სახლიდა გადასვლა და ბარგის გადატანისას შემთხვევით სახლთან შეეჩეხა ძმებს და როგორც თვითონ ამბობდა, გონება დაუბინდდა, გადმოვიდა მანქანიდან და სამი ტყვია ესროლა ვლადიმერ გობეჩიას(იქვე შეეცადა თავის მოკვლას, თუმცა შვილმა შეაჩერა). გამომდინარე აქედან ბრალდებული ცდილობდა მკვლელობის მოტივის პოლიტიკურიდან ყოფითზე გადმოტანას.

აცხადებდა, რომ მას რევოლუციონერობის გამო არ მოუკლავს ვლადიმერ გობეჩია. საბოლოოდ, მკვლელს სამუდამო კატორღა მიესაჯა. ვლ. გობეჩიას შესახებ თანამედროვენი აღნიშნავდნენ [59]„ტანით პატარა, გულით დიდი, სულით მაღალი.“

ლეო შენგელაია - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის თავმჯდომარე. პროფესიით იურისტი. დაიბადა 1887 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში(დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის ეს სოფელი) ანდრია შენგელაიას ოჯახში. გიმნაზიაში სწავლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1908 წლიდან გახლდათ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა ოარტიის წევრი. რევოლუციური საქმიანობისთვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და სასჯელს იხდიდა რუსეთის ციხეებში. 1918 წლის 29 მაისს შევიდა ეროვნული საბჭოს გაფართოებულ შემადგენლობაში. 1918 წლის 10-15 დეკემბერს თბილისში შედგა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა, სადაც ლეო შენგელაია აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ და ამასთანავე, პარტიული პრესის გაზეთ „შრომის“ რედაქტორად“. ბ-ნი შენგელაია იყო დიდი თეორეტიკოსი და პარტიის მთავარი იდეოლოგი. სწორედ მისი შემუშავებულია პარტიის პროგრამა და სამოქმედო ტაქტიკა. სოციალისტ-რევოლუციონერთა აგრარული პროგრამის ავტორი. საქართველოს დამფუძნებელთა კრებაში ესერთა ფრაქციის ლიდერი. იყო ამ პარტიის ე.წ მემარცხენე ფრთის(1922 წ. 20 მარტს პარტია მესამე ყრილობაზე ოფიციალურად ე.წ მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებად გაიყო) თავმჯდომარე. როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცდილობდა კომპრომისული ურთიერთობა ჰქონოდა. 1922 წლის განმავლობაში ის საკმაოდ აქტიურად აქვეყნებს სტატიებს გაზ. „შრომაში“. თუმცა შემდგომ ის ნაკლებად ჩნდება საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. შემდგომი მისი ბედი უცნობია.

[59]იოსებ არიმათიელი. ვლ.პავ. გობეჩია - ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ – 1918, N – 10, გვ.12

ივანე გობეჩია - სოციალისტ-რევოლუციონერი. დაიბადა 1881 წლის 10 დეკემბერს ქ. ქუთაისში პავლე გობეჩიას ოჯახში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ნაფიცი ვექილი. 1902 წლიდან რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრია. ძირითადად მუშათა ორგანიზაციაში საქმიანობდა. 1904-09 წლებში ჟანდარმერიისგან მუდმივ დევნას განიცდიდა. (ჩხრეკა, პატიმრობა, გამოძიება ბრალდების წაყენებით.) ერთხანს ქუთაისის სასამართლოში მოღვაწეობდა. სასამართლო პროცესებში მონაწილეობდა დამცველად პოლიტიკური პატიმრების - ზოტიკე ჩიქვილაძის, მელიტონ გობეჩიას და სხვათა საქმეების განხილვისას. ი. გობეჩია რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მდივნის თანაშემწე იყო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისის ქალაქის საბჭომ პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებად აირჩია. იყო ქუთაისის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს წევრი, ქალაქ ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი და ქუთაისის გუბერნიის კომისარი. 1917 წელს ქუთაისის გარნიზონმა აირჩია კავკასიის არმიის პირველი და მეორე ყრილობების დელეგატად. როგორც ქუთაისის გუბერნიის პარტიული ორგანიზაციის დელეგატი, მონაწილეობდა რუსეთის ესერთა პარტიის მესამე ყრილობის მუშაობაში. 1917 წლის ნოემბერში აჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნის შემდეგ იყო პარტიის თავმჯდომარის მოადგილე და გაზ. „შრომის“ რედაქტორის მოადგილე.(ერთი პერიოდი რედაქტორიც გახლდათ.). იყო ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლის 12 მარტიდან დამფუძნებელი კრების წევრია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან, სადაც იყო სამეურნეო-საგამგეო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი, გარეშე საქმეთა და იურიდიული კომისიების მდივანი, თვითმმართველობის, საპენსიო, ცენტრალური საარჩევნო(დამფუძნებელი კრების

არჩევნების დროს ცენტრალური საარჩევნი კომისიის თავმჯგომარის ალ. ლომთათიძის მოადგილე იყო.) და საკონსტიტუციო კომისიების წევრი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და დაიწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. პარტიის გაყოფის შემდეგ ე.წ მემარცხენეთა ფრთას წარმოადგენდა. 1922 წლის 10 მაისს ჩეკამ ივანე გობეჩია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სხვა ლიდერებთან და წევრებთან ერთად(ძირითადად „მემარჯვენე“ ნაწილის) დააპატიმრა კონტრრევოლუციის ბრალდებით. თუმცა, როგორც „არააქტიური ელემენტი“, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. შემდგომში იყო ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 30-იან წლებში იყო თბილისის საბჭოს ფინანსური განყოფილების იურისკონსულტანტი. დიდი საბჭოთა ტერორის(1937წ.) დროს ივანე გობეჩია დააპატიმრეს და დახვრიტეს.

იოსებ გობეჩია - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. დაიბადა 1879 წელს ქუთაისში პავლე გობეჩიას ოჯახში. თავდაპირველად სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ კი სწავლა ოდესის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. 1901 წელს მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში, რისთვისაც დააპატიმრეს და ადმინისტრაციული წესით სამშობლოში გადაასახლეს. ამავე წელსვე ქუთაისში ერთ-ერთ შეკრებაზე, საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეს დროს საპროტესტო სიტყვის წარმოთქმისთვის, მეორედ დააპატიმრეს და ოდესაში გადაასახლეს, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ მისცეს. ეს უფლება მან 1902 წელს მოიპოვა და პროფესორ, ვ. პეტრიაშვილის დახმარებით, შეძლო ოდესის უნივერსიტეტის დამთავრება.(1908წ.). 1904 წელს კვლავ დააპატიმრეს ი. გობეჩია, როგორც სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მან ციხეში 1 წელი გაატარა და კავკასიაში დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ის აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერებაში. მან ჩამოაყალიბა არალეგალურ

მებრძოლთა რაზმები და ტერორისტული თავდასხმები მოაწყო ალიხანოვ-ავარსკიზე, გენერალ ველიამინოვზე, პოლიცმაისტერ მარტინოვზე. 1906 წლის ბოლოს, როგორც ამიერკავკასიის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი, ფინეთში(იმატრაში) ესერთა პარტიის საბჭოს ყრილობას დაესწრო და მონაწილეობდა ესერთა პარტიის მეორე ყრილობის მუშაობაში ტამერფორსში(ფინეთი). უკან დაბრუნებისას დაჭრეს და თბილისში გადაასახლეს. 1909-11 წწ.-ში ი. გობეჩია ბაქოში ცხოვრობდა. იმ პერიოდში აქ გამოდიოდა ქართულ ენაზე ესერთა პარტიული ორგანო „მარცვალი“. ძმასთან(ვლადიმერთან) ერთად, ი. გობეჩია აღნიშნული გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყო. ჟანდარმერიის გამუდმებული დევნის გამო იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. სწავლობდა გრენობლის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც ელექტროტექნიკის ინჟინრის ხარისხით დაამთავრა და პარიზში ინჟინრად დაიწყო მუშაობა. 1917 წელს დაბრუნდა რუსეთში და და დროებითი მთავრობის მიერ კავკასიის ფრონტის სამხედრო კომისრად დაინიშნა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იყო ეროვნული საბჭოს(ესერთა ფრაქციის თავმჯდომარე) და დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა და ბოლშევიკ ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტთა რიგებში ჩადგა. იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი. დამკომის მიერ გაიგზავნა უცხოეთში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან სახალხო ამბოხების საკითხებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში დარჩენილიყო.

ილია ნუცუბიძე - დაიბადა 1883 წელს ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრის სოფელ ფარცხანაყანევში, სასულიერო წოდების(მედავითნე) დავით ნუცუბიძის ოჯახში. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, აგრეთვე ტფილისის სასულერო სემინარიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო კიევის კომერციულ ინსტიტუტში ეკონომიკურ განყოფილებაზე.(მხოლოდ

სამი კურსი დაასრულა.) 1907 და 1909 წლებში ორჯერ იყო დაპატიმრებული ესერთა სამხედრო ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან. ამავე პარტიას წარმოადგენდა დამფუძნებელ კრებაშიც, სადაც 5 ესერ დეპუტატს შორის იყო. [60]იყო სარეგლამენტო კომისიის მდივანი, საბიბლიოთეკო, სამხედრო, საბიუჯეტო-საფინანსო და მომარაგების კომისიების წევრი. ამასთანავე ილია ნუცუბიძე პარტიული პრესის გაზეთ „შრომის“ რედკოლეგიის წევრი და ერთი პერიოდი რედაქტორიც.(1920 წლის N-20-დან 1921 წლის თებერვლამდე). ეს უკანასკნელი საკმაოდ აქტიურად მონაწილებდა პარტიის მეორე ყრილობაში, რომელიც 1918 წლის 10-15 დეკემბერს გაიმართა, სადაც მან მოხსენება გააკეთა პარტიული პრესის შესახებ. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დატოვა სამშობლო და ცხოვრობდა საფრანგეთში. აქტიურად მონაწილეობდა ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გრიგოლ ნათაძე - დაიბადა 1878 წლის 16 იანვარს ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ კასპში, ცნობილი ხალხოსნის იასონ ივანეს ძე ნათაძის ოჯახში. სწავლობდა ტფილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, საიდანაც 1892 წელს გადავიდა ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. [61]თბილისის მეორე გიმნაზიის წარმეტებით დამთავრების შემდეგ, 1898 წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ქალაქ კიევში და ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე(შესაძლოა, აქ ავტორს ერევა გიორგი ნათაძეში, ცნობილ ექიმში, რომელმაც კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. თუმცა ეს მოხდა ბა-ნი გრიგოლის კიევში სწავლიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1920 წელს. არც ისაა გამორიცხული, რომ ბ-ნი გრიგოლი თავიდა მართლაც სწავლობდა საექიმო

[60] ირაკლი ხვადაგიანი. საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. თბილისი, 2016წ. გვ.324

[61]პროფესორი გრიგოლ ნათაძე: (ნეკროლოგი) - გაზეთი „სახალხო განათლება“, 30 მაისი, თბ. 1951,

ფაკულტეტზე კიევში.), რომელსაც მალე თავი დაანება და გადავიდა ამავე უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ უკანასკნელიდა ის 1901 და1902 წლებში სტუდენტურ დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო ორჯერ გარიცხეს. ამის შემდეგ მან სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტში, მხოლოდ ერთი კურსის დასრულება მოასწრო, რის შემდეგაც ის იძულებული გახდა უსახსრობის გამო სწავლა შეეწყვიტა. ატარებდა კერძო გაკვეთილებს, თანამშრომლობდა პრესაში, იყენებდა ფსევდონიმს - „გან-ბარიძე“. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც რუსეთის სოციალისტ-რევოლუვიონერთა პარტიიას წევრი, რისთვისაც ის დააპატიმრეს და 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ გაათავისუფლეს ციხიდან ამნისტიით. 1907 წელს ექსტერნად დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1918 წელს ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. იყო დამფუძნებელი კრების წევრი ესერთა პარტიიდან. საინტერესო ცნობას ვხვდებით გრიგოლ ნათაძის შესახებ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდში. [62]ერთ-ერთ ფონდში წარმოდგენილი იყვნენ ტფილისის ორგანიზაციის სოციალისტ-რევოლუციონერები(Оть Тифлисской организаціи партіи Социалистовь-революціонеровь), სადაც მითითებულია გიორგი ნათაძე და აღნიშნულია, რომ ის არის გაზეთ „შრომის დროშის“ რედაქტორი.(Натадзе Георгий Язонович – Редакторъ газ. „Знамя Труда“.) გამომდინარე აქედან გრ. ნათაძე აღნიშნული გაზეთის რედაქტორად არის მიჩნეული. საქმეს უფრო ნათელი მოვფინოთ საჭიროა ისიც ვთქვათ, რომ დაახლოებით ამ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პედაგოგი გიორგი ნათაძეც(1870-1946წწ.), თუმცა მამამისის სახელი იყო გრიგოლი, აქედან გამომდინარე ის უნდა გამოვრიცხოთ, ვინაიდან წყაროში მკაფიოდ წერია გიორგი იასონის ძე(გრიგოლ ნათაძის მამას იასონი ერქვა) იყო გაზეთის ხელმძღვანელი. რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ექიმ გიორგი ნათაძეს, მისი ბიოგრაფიიდან ვგებულობთ,

[62] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ფონდი. ფ.234, ან. 1 N- 1, გვ. 7

რომ მისი ძირითადი საქმიანობის გარდა სხვა საზოგადოებრივ პროცესებში იგი ნაკლებ აქტიურობას იჩენდა.

1919 წლიდან გრ. ნათაძე კითხულობდა ისტორიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1924 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ამავე უნივერსიტეტში. 1926 წელს კი აირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად, მუშაობდა მსოფლიო ისტორიის და პედაგოგიურ ფაკულტეტებზე. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1941 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სტატუსი. 1951 წლის 24 მაისს კი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა გრიგოლ ნათაძე.

ივანე ლორთქიფანიძე - გამოჩენილი ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი. დაიბადა 1890 წელს მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფ. მარანში. 1900 წლიდან სწავლობდა ტფილისის ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც ჩაერთო ესერთა ახალგაზრდული წრის მუშაობაში. 1905 წელს პარტიული საქმიანობის გამო დააპატიმრეს და გარიცხეს გიმნაზიიდან „მგლის ბილეთით“ - სწავლის გაგრძელების უფლება მოუსპეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სწავლა განაგრძო ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების(1907წ.) შემდეგაც ხელმძღვანელობდა ესერთა ამიერკავკასიის ორგანიზაციის ახალგაზრდულ ფრთას. 1907 წლიდან მან სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც აგრძელებდა სტუდენტთა ესერების ორგანიზაციაში მუშაობას. აქვე მან ჩამოაყალიბა მოსწავლეთა წრეები, სადაც კითხულობდნენ ლექციებს და ემზადებოდნენ რევოლუციური მუშაობისთვის. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, გაიწვიეს არმიაში და ექიმად გაამწესეს 480-ე საველე ჰოსპიტალში, რუმინეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუმინეთის ქალაქ იასში აირჩიეს გარნიზონის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ, შემდგომ გახდა არმიის

კომიტეტის წევრი და დელეგატად გაიგზავნა ოდესის შავი ზღვის ფლოტის ფრონტის და ოდესის ოკრუგის გაერთიანებულ ყრილობაზე. თავმჯდომარეობდა „რუმინეთის ფრონტის კომიტეტს“. იყო რუსეთის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების პირველი და მეორე ყრილობების დელეგატი; 1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. ამავე წელს გახდა რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით. ამ ორგანოს გარეკვის შემდგე დაბრუნდა საქართველოში. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ. ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს(1918წ. 26 მაისი). გარდა ამისა, რესპუბლიკის პირველ მთავრობაში ეკავა გზათა მინისტრის პორტფელი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. იყო ტექნიკური კომისიის წევრი. გასაბჭოების შემდეგ დარჩა საქართველოში და ჩაბმული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, აგრძელებდა საექიმო პრაქტიკასაც; როგორც ცნობილია, 1922 წლის 20 მარტს ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა შორის მოხდა განხეთქილება, რის შემდეგაც პარტია ე.წ მემარცხენე და ე.წ მემარჯვენე ფრთებად გაიყო. ივანე ლორთქიფანიძე იოსებ გობეჩიასთან ერთად ე.წ მემარჯვენე ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. 1922 10 მაისს ჩეკამ ევ. ლორთქიფანიძე ესერთა სხვა ლიდერებთა ერთად დააპატიმრა. 20 ივლისს კი მას განუსაზღვრეს განისაზღვრელი ვადით პატიმრობა. 1924 წლის ივნისში პატიმრობიდან გაათავისუფლეს, თუმცა აგვისტოში კვლავ დააპატიმრეს ანტი-საბჭოთა აჯანყების ორგანიზების ბრალდებით. მაგრამ სასამართლომ ბრალდების დაუსაბუთებლობის გამო ის პატიმრობიდან გაათავისუფლა. შემდგომ წლებში ის ცხოვრობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სოციალური ჰიგიენის კათედრაზე უფროს ასისტენტად; დიდი საბჭოთა ტერორის(1937-38წწ.) დროს ივანე ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და შემდგომ დახვრიტეს კიდევაც.

კოტე მესხი - ქართული სოციალისტ-რევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფიძნებელი. სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობდა სტუდენტურ მღელვარებებში. გიორგი ლასხიშვილთან ერთად შედიოდა რუსეთის რევოლუციუ-ხალხოსნურ ორგანიზაციაში „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლია“, რისთვისაც თავისი თაანამემამულის ანალოგიური სასჯელი ერგო: იგი ჯერ სამშობლოში ჩამოასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, შემდეგ კი 5 წლით გადაასახლეს ციმბირში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1890-იან წლებში მონაწილეობა განაგრძო რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში და შედიოდა თბილისის გამგეობაში შექმნილ ფარულ ხალხოსნურ ჯგუფში. 1900-იან წლებში ყოფილმა ხალხოსნებმა საქართველოში სცადეს რუსეთის სოციალისტ-რევოლუცინერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცოების შექმნა, რომელშიც კ. მესხი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1906 წლის 1 იანვარს მისი რედაქტორობით გამოვიდა ესერული გაზეთი „პატარა გაზეთი“. მოწინავეში გაზეთი თავის კრედოს აყალიბებდა. მისი აზრით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება „რუსეთის ცხოვრებაზედ“ იყო დამოკიდებული. ამით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში მოღვაწეობდნენ რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიების ანალოგიური პოლირიკური ძალები. „პატარა გაზეთი“ აღიარებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრიორიტეტს, როგორც ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტიისას. მაგრამ, როგორც „მზეს ახლავს ლაქები“, ისე სოციალ-დემოკრატებსაც ჰქონდათა ნაკლი - ეს იყო აგრარული საკითხი. ისინი „ჩამონაჭრებით“ უმასპინძლდებოდნენ სოფლის გლეხობას, რაც არ იყო საკმარისი მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთი იყო ამ გაზეთის ძირითად კრედო.

კოტე მესხი 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. გარდაიცვალა 1932 წელს.

იოსებ აბაკელია - დაიბადა 1882 წელს ქუთაისში(ძმები გობეჩიების მეზობლად.). 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და განთავისუფლების შემდგე ოდესაში ცხოვრება აეკრძალა, რის გამოც სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. 1911 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1918 წელს აირჩიეს ესერთა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი., სადაც მდივნის დ. ონიაშვილის თანაშემწე გახლდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1922 წელს ი. აბაკელიას თაოსნობით საქართველოში დაარსდა პირველი ტუბერკულოზის ამბულატორია; შემდეგ ტუბერკულოზის კვლევითი ინსტიტუტი. 1930-38 წლებში იყო ტუბერკულოზის რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორი. ავტორია პირველი სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე „ტუბერკულოზი“(1921წ.), „ფილტვისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი“(1924წ.). [63]სამართლიანად ითვლება ქართული ფთიზიატრიული სკოლის ფუძემდებლად. გარდაიცვალა 1938 წელს. დაკრძალულია თბილისში.

მიხეილ ბოჭორიშვილი - საქართველოს ესერთა პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, პოეტი, პროზაიკოსი. დაიბადა 1893 წელს ტყიბულში. როგორც ჩანს, საკმაოდ ახლო მეგობარი იყო გალაკტიონ ტაბიძისა. ისინი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. [64]1921 წელს გალაკტიონს მეგობრისთვის შემდეგი სტრიქონები მიუძღვნია:

„ გვიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშელ,

საღამოს ქარში ერთად ცხოვრება.

---

[63]ჯუმბერ ქორჩილავა. საქართველოს სამედიცინო კალენდარი. თბ. 2010, გვ.138

[64] მანანა კვატაია. მიხეილ ბოჭორიშვილი - თავისუფლებისთვის მებრძოლი შემოქმედი - ჟურნალი „ათინათი“, 2014, N – 2, გვ.113

მზეებში ვქმნიდით მაშინ მე და შენ

და ქარი მარად გვემახსოვრება.“

მიხეილ ბოჭორიშვილის შემოქმედება აქტიურად შუქდებოდა გაზ. „შრომის“ ფურცლებზე. მაგალითად. გამოქვეყნდა: „მეტეხი“, „ლეილა“, „ლოთი მგოსანი“ და ა.შ. ეს უკანასკნელი ესერთა საარჩევნო სიაშიც იყო წარმოდგენილი(34-ე ნომრად), რომელიც დამფუძნებელი კრებისთვის იყო მომზადებული. როგორც ვიცით, მხოლოდ 5 კაცი მოხვდა ესერთა მხრიდან საკანონმდებლო ორგანოში. მიხეილ ბოჭორიშვილი იყო 1924 წლის ანტი-საბჭოთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. [65]აჯანყება დამარცხდა, რის შემდეგაც ის სასწაულებრივად გადაურჩა სასიკვდილო განაჩენს და მხოლოდ გადასახლება აკმარეს, 10 წლით გადაასახლეს. როგორც გაზ. „ტყიბულის“ 1991 წლის 20-21 იანვრის ნომრებიდან ვიგებთ, როგორც ჩანს, ბ-ნი მიხეილი გადაასახლეს ტამბოვის ოლქის სოფ. კალპაშოვოში. აღსანიაშნავია, რომ მიხ. ბოჭორიშვილს გამოუცია ორი წიგნი. 1919 წელს „ეტიუდები“, 1922 წელს კი გამოქვეყნებულა ვრცელი მოთხრობა „მეტეხი“. ის იბეჭდებოდა ფსევდონიმებით „ნიკ-ძე“, „ადონისი“, „მირბახი“, „მიმქრალი“. მკვლევრების პ. ბერეკაშვილისა და გ. გეწაძის აზრით მიხ. ბოჭორიშვილი გარდაცვლილი უნდა იყოს სამამულო ომის პერიოდში, კერძოდ 1943 წლის ახლოს.

[65] ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტომი III. 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირები საბჭოთა სამსჯავროზე(1925 წლის ივლისი-აგვისტო.) ავტორი - ლევან ჯიქია. გვ.46 თბ. 2015წ.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ პერიოდულმა გამოცემებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია კვლევა-ძიების პროცესში. აღნიშნული გამოცემებიდან აუცილებლად ცალკე უნდა ვახსენოთ გაზეთი „შრომა“, რომელიც წარმოადგენდა ქართველ ესერთა პრესის ორგანოს. ფაქტობრივად, ამ გაზეთში გაჟღერებული მოსაზრება თუ შეხედულება წარმოადგენდა პარტიის ოფიციალურ შეხედულებასაც.თუმცა, სხვა საგაზეთო საშუალებების როლიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს უკანასკნელნი ვახსენეთ უკვე ნაშრომის შესავალში, ამიტომ მათ აქ აღარ განვმეორდებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოცემული ჟურნალ-გაზეთებიდან არაერთი საყურადღებო მასალა გახდა ჩვენთვის ცნობილი. პირველ რიგში გამოვყოფთ თავად სტრუქტურას, რომელიც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას გააჩნდა უკვე დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბების შემდეგ. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ამ პარტიაში გაერთიანებული ადამიანები წარმოადგენდნენ პროფესიონალებს, რომელთაც ქვეყნის სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვა ჰქონდათ. ესერთა პარტიას ჰქონდა მეტად რთული ორგანიზაცია. მას ძირითადი, თბილისის ორგანიზაციის გარდა რეგიონებშიც ჰყავდა თავისი წარმომადგენლობა. გამოირკვა, რომ განსაკუთრებით ძლიერი ორგანიზაციით იყვნენ ისინი წარმოდგენილი სამეგრელოში, რომელსაც მიხეილ ბერულავა ხელმძღვანელობდა. აღნიშნული დასკვნის საფუძველს ჩვენ გვაძლევს 1919 წლის თებერვალში გამართული არჩევნების შედეგები, სადაც მათ რეგიონის ყველა მნიშვნელოვან საარჩევნო ოლქში მეორე ადგილი(სოც.დეკების შემდეგ) დაიკავეს, ქ. ზუგდიდი კი საერთოდ მოიგეს. ასე, რომ ესერები კონკრეტულად სამეგრელოს რეგიონში მეორე პარტიას წარმოადგენდნენ. თუმცა ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ ზოგადად საქართველოს მასშტაბით მეტად არაპროპორციული მხარდაჭერა ჰქონდათ. აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევაც თუ რამდენად დიდი შრომა ჩადეს მათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ალტერნატიული კონსტიტუციის შექმნაში. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ხალხი ზრუნავდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, უბრალოდ მათ სხვანაირად, სოციალისტურ ჭრილში

ესმოდათ სამომავლო პერსპექტივები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის შედარებით უცნობი იყო მათი დამოკიდებულება მეზობელ სომხეთთან, რასაც ისინი „დაშნაკცუთიუნთან“ ურთიერთობის კონტექსტში არ განიხილავენ და აღნიშნავენ, რომ საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც ეს პარტია. პერიოდული გამოცემების შესწავლის შედეგად, გარკვეულწილად ნათელი მოეფინა მათ საქმიანობას დამფუძნებელ კრებაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცნობები აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალურ არქივში, სადაც ჩვენ მივაკვლიეთ მანამდე უცნობ მასალებს ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა შესახებ. მაგალითად, 1918 წლის სექტემბერში მომხდარი ინციდენტი სოფელ თეთრიწყაროსთან, სადაც მოხდა ეროვნებით ქართველ და რუს გლეხობას შორის შეიარაღებული დაპირისპირება, რომლის შუაგულშიც ესერები იყვნენ, რასაც მათი პარტიის წევრის - გიორგი ყიფიანის სიცოცხლეც კი ემსხვერპლა. სავარაუდოდ, აღნიშნული რეგიონი პარტიის ერთ-ერთ საყრდენ ცენტრს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია ამასთანავე, გარკვეულწილად პროტოესერული ორგანიზაციების უფრო ფართოდ განხილვის წარმოდგენა, რაც გარკვეულ ბაზისს ქმნის შემდგომში ესერთა პარტიის შესწავლისთვის. განვიხილეთ აგრეთვე ცალკეული ესერი ლიდერების ბიოგრაფიები და ზოგ, შემთხვევაში მოხდა სრულიად ახალი ცნობების აღმოჩენა. მაგალითად, ვლადიმერ გობეჩიას, მიხეილ ბოჭორიშვილის შემთხვევაში. გრიგოლ ნათაძის შემთხვევაში კი რამდენიმე ბიოგრაფიული დეტალი დადგინდა. სხვა ესერი ლიდერების ბიოგრაფიების უფრო ფართოდ განხილვა მოხდა.

გამომდინარე აქედან, ჩვენ შეგვიძლია ერთი რამე დანამდვილებით ვთქვათ, რომ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია არ წარმოადგენდა სრულიად განყენებულ ორგანიზაციას, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მას ჰყავდა თავისი ამომრჩველი და მხარდამჭერი და მისი იდეების გამზიარებლებიც იყვნენ. უბრალოდ სხვა პარტიებთან კონკურენციაში საქართველოს მასშტაბით ის ვერ შედიოდა, ვერ სწევდა კონკურენციას. ჩვენი აზრით მათ ჰქონდათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი - ეს იყო

არათანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება. რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას სხვა მოცემულობა ჰქონდა რუსეთში, საქართველო კი ამ დროს სხვა გამოწვევების წინაშე იდგა. თავდაპირველად, XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ესერები უფრო სოციალური პრობლემატიკით იყვნენ დაინტერესებული, თუმცა შემდეგ მათმა შეხედულებებმა გარკვეული ცვლილებები განიცადეს და მათი დიდი ნაწილი ეროვნულ პლატფორმაზე გადავიდა. ამის მაგალითია თუნდაც, მათი არ შეერთება რუს ესერთა პარტიასთან და გაერთიანება „მოამბე-ცნობის ფურცლის“ ჯგუფთან და შემდგომ ფედერალისტთა პარტიასთან. სწორედ ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოც.-დეკებმა დატოვეს ისინი სოციალური ბაზისის გარეშე და ამ ნაწილში მოხდა მათი ჩანაცვლება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ქმედებები და გამოხატული პოზიციები, გარკვეულწილად ეჭვის საფუძველს იძლეოდა მათ უპირობო ეროვნულ პოზიციაზე ყოფნაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, მომენტალურად სოციალური კონტექსტი გაუთანაბრეს ეროვნულ პოზიციასაც და ზოგ შემთხვევაში მასზე წინაც კი აყენებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკა არ ჰქონიათ, უფრო პოზიციებს შორის ლავირებას ცდილობდნენ. გასაბჭოების შემდეგ ესერები აგრძელებენ აღნიშნულ პოლიტიკას, თუმცა ამ უკანასკნელმა შედეგი არ გამოიღო. მემარცხენე პოზიციებზე მდგარი ესერებიც კი მემარჯვენეთა მსგავსად მკვეთრად ეროვნულ პოზიციებზე გადავიდნენ. უფრო მეტიც ესერთა ცალკეული წარმომადგენლები 1924 წლის აჯანყების მეთაურებადაც კი მოგვევლინნენ. მაგალითად, მიხეილ ბოჭორიშვილი, ივანე გობეჩია, ივანე ლორთქიფანიძე და მიხეილ ჭანიშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **გიორგაძე გრიგოლ.** საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. ბატონყმობის გადავარდნიდან-პირველ რევოლუციამდე-1864-1905. თბ. „სახელგამი“. 1928.
2. **გრძელიძე რევაზ.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924). თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998.
3. **კვაჭანტირაძე გივი.** სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში 1905-1908 წლებში. საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის საკითხები, წიგნი I. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.
4. **კვაჭანტირაძე გივი.** სოციალისტ-რევოლუციონერთა ტერორისტული საქმიანობა საქართველოში 1905-1910 წლებში. საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის საკითხები, წიგნი I. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003.
5. **ქორჩილავა ჯუმბერ.** საქართველოს სამედიცინო კალენდარი. სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2010.
6. **შველიძე დიმიტრი.** პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში - ფედერალისტები. „არსი“. თბ. 1993.
7. **ხვადაგიანი ირაკლი.** საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. საბჭოთა კვლევის ლაბორატორია. თბ. 2016.
8. **ჯანელიძე ოთარ.** სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში. საქართველო და ქართველები. თბ. 2013.
9. **ჯიქია ლევან.** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ხელმძღვანელი პირები საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის ივლისი-აგვისტო). ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტ.2. თბ. 2010

პერიოდული გამოცემები

გაზეთები

1. გაზეთი „მარცვალი“ (1917-18წწ.)
2. გაზეთი „პატარა გაზეთი“ (1906წ.)
3. გაზეთი „რევოლუციური ნობათი“ (1917წ.)
4. გაზეთი „საქართველო“ (1917წ.)
5. გაზეთი „სახალხო განათლება“ (1951წ.)
6. გაზეთი „სოციალისტ-რევოლუციონერი“ (1917-1918წწ.)
7. გაზეთი „ტყიბული“ (1991წ.)
8. გაზეთი „შრომა“(1918-21წწ.)
9. გაზეთი „Знамя Труда“ (1917-18წწ.)

ჟურნალები

1. ჟურნალი „ათინათი“ (2014წ.)
2. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (1918წ.)
3. ჟურნალი „მაცნე“ (1988წ.)
4. ჟურნალი „ჩვენი დროშა“ (1964წ.)

ენციკლოპედიები

1. ათნანელიშვილი თამარ, ასტამაძე გიორგი, ბახტაძე მიხეილ, შველიძე დიმიტრი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (191801921)

საქართველოს ეროვნული არქივი

საისტორიო ფონდი - 234, 1036